# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 10 სექტემბერი 2008 №208 (3432) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს არ არის ლიპი — კუპერი. ეს იტალია — საქართველოა





# საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ავტობუსში სხვა უნდა ავიდეს!

# 0:5



# მაგრამ: ხელსახოცი ისევ მარტო მწვრთნელია?!

ბაჩანა იოსელიანის ფოტო

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

უდინე. 10 სექტემბერი. 22.50 საათი. ფრიული

## იტალია — საქართველო

მსაჯები: ტ. აინვალერი, რ. პაიმი, ნ. შვაბი, შ. მესნერი (ყველა ავსტრია); დამკვირვებელი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი); დელეგატი: ი. სტრაუსი (ისრაელი)

# ექტორ რაულ კუპერი: ლიპი და მე კი არა, იტალია და საქართველო

„**ხვალ** ღირსების მატჩია და შევეცდებით, კარგად წარმოვჩნდეთ" — თქვა ექტორ რაულ კუპერმა უდინეში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც 15-მდე ჟურნალისტი დაესწრო. იტალიურმა მედიამ საქართველოს ნაკრების თავკაცს კითხვები დააყარაო, ვერ ვიტყვით...

— რა შეიცვლებოდა, ირლანდიასთან შინ რომ გეთამაშათ?

— ბევრი რამ. ბევრი გულშემატკივარი დაგვიჭერდა მხარს. თუმც ამით ირლანდიელთა მოგებას არ ვაკნინებ — ისინი თბილისშიც ძალა იქნებოდნენ, მათ ხომ „მანჩესტერ იუნაიტედის" და „ლივერპულის" ფეხბურთელები ჰყავთ.

— რამდენად მოახერხებთ ოთხ დღეში გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადებას წაგების მერე?

— ჩემს ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონებთან თამაშისას ზედმეტი დაქოქვა არ სჭირდებათ. მათ იციან, რომ მსოფლიოს ჩემპიონებს ეთამაშებიან.

— იტალია — საქართველოს მატჩს მარჩელო ლიპი-ექტორ რაულ კუპერის დუელად განიხილავთ?

— არამც და არამც. ეს არის ორი ნაკრების დაპირისპირება.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ჩვენებს დაახლოებით საათ-საათნახევრიანი ვარჯიში ჰქონდათ უდინეს „ფრიულიზე". საბედნიეროდ, ზურაბ ხიზანიშვილის ტრავმა „ვიკმარეთ" — დანარჩენები ჯანზე არიან...

და ისევ კუპერი — საქართველოს ნაკრების თავკაცს „გაძეტა დელო სპორტიც ესაუბრა:

„ირლანდიასთან გუნდი გამოვიდა კონცენტრირებული, მაგრამ... ფეხბურთელები მაინც ომზე ფიქრობდნენ. შეუძლებელია, შეხვიდე გასახდელში და თქვა, დღეს მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქროთ. ჩემი გუნდი განიცდის ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ყველა ქართველთან ერთად.

ვეცდებით, იტალიის წინააღმდეგ წარმატებით ვითამაშოთ. ირლანდიასთან კი დავმარცხდით, მაგრამ გუნდმა სახე აჩვენა. რა თქმა უნდა, იტალია ძლიერი და ფავორიტია. იტალიელებმა კარგი არჩევანი გააკეთეს, როცა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი მარჩელო ლიპი დააბრუნეს...

გვინდა, უდინედან კარგი შედეგი წავიღოთ. იტალიელთა ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი ანდრეა პირლოა, რომელიც გუნდის სული და გულია. როდესაც ბურთი მას აქვს იტალიის ნაკრების შეტევა სახიფათოა".

ილია ნანოგაშვილი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

## კანავარომ ხალხს მოთმინება ურჩია

**იტალიის** ეროვნული ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო კვიპროსთან სტუმრად გამართული მატჩის (2:1) შემდეგ მხრიდან დაცვის რგოლის კრიტიკით უკმაყოფილოა და გულშემატკივრებს მოთმინებას ურჩევს...

„ვფიქრობ, ამ შემთხვევაში კრიტიკა არასამართლიანია. ჩვენ თავად ვიცით, რომ არცთუ კარგად გამოვიყურებოდით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მოედანზე დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველად გავედი. ჩვენი დაცვის თამაშზე უარყოფითი გავლენა მოახდინა გამბერინისა და გროსოს ტრავმებმაც. კარგია, რომ იტალიის ნაკრებს ჰყავს ფორვარდები, რომელთაც შეხვედრის ბედის გადაწყვეტა ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ, რაც დი ნატალემ კვიპროსთან შეხვედრაშიც დაამტკიცა" — განაცხადა კანავარომ.

ვნახოთ, როგორი იქნება იტალიური დაცვა დღეს, ქართველებთან მატჩში...

ძახა ზალამბერიძე

## ავსტრია

ცენტრი

საიტალი 6:2 ფელდკირხენი

## შვედეთი

სუპერეტა

ვასბი 2:0 ენჩიოპინგი

## საფრანგეთი

თასი

ლანსი 4:1 სედანი

მეცი 2:1 რეიმსი

ტრუა 2:1 ანჟერი

აიაჩო 2:4დ.დ. (2:2) მონპელიე

შატორუ 3:1 ნიმი

ვანი 3:2დ.დ. (2:2) ამიენი

გენგამი 2:0დ.დ. (0:0) გენიონი

სტრასბური 1:2დ.დ. (1:1) ბასტია

ბულონი 4:1 კლერმონი

კრეტეი 2:1 ბრესტი

## ირლანდია

1 დივიზიონი

უეძსფორდი 0:2 ლონგფორდი

## ამხანაგური მატჩები

სამხრეთ აფრიკა 0:1 გვინეა

ავსტრია U21 4:0 ლიხტენშტაინი U21

სანდეფიორდი 2:5 ვოლერენგა

## 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ახალგაზრდულები

ჩერნოგორია 0:0 ბულგარეთი

მოლდოვა 2:0 ლუქსემბურგი

ლატვია 0:0 ბელარუსი

ბელგია 3:2 კვიპროსი

ბოსნია 0:1 საფრანგეთი

გერმანია 0:0 ისრაელი

საბერძნეთი 1:0 ფარერები

დანია 1:0 შოტლანდია

ისლანდია 1:1 სლოვაკეთი

ესპანეთი 2:0 რუსეთი

ნორვეგია 0:0 მაკედონია

რუმინეთი 0:3 უელსი

სლოვენია 0:0 ფინეთი

თურქეთი 4:0 სომხეთი

ხორვატია 1:1 იტალია

ჩეხეთი 0:1 უკრაინა

შვეიცარია 1:0 ჰოლანდია

პორტუგალია 2:2 ირლანდია

## პოლონეთი

თასი

C ჯგუფი

ლეხი 1:3 ბელხატუვი

# იტალიამ 2:0 თქვა

## მარჩელო ლიპი კვიპროსის გამოსწორებას დღეს აპირებს

**იტალია — საქართველოს დღევანდელმა დაპირისპირებამ იტალიურ პრესაში საკმაო ინტერესი გამოიწვია. ჟურნალისტ ანტონიო სარმანის მატჩისწინა მიმოხილვაში საინტერესო ამბებს მივაგენით და ამ წერილს სრულად გთავაზობთ...**

### იღბლიანი ლიპი

იტალიამ გაჭირვებით დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი — ლარნაკაში კვიპროსი 2:1 დაამარცხა. ლიპის იღბალმა 91-ე წუთზე გადმოხედა, როდესაც ანტონიო დი ნატალემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

კვიპროსთან იტალიელებს დი ნატალემ და ჯანლუიჯი ბუფონმა მოაგებინეს — თუ პირველმა ორი ბურთი გაიტანა, მეორემ დარტყმების მოგერიებათა ფოიერვერკი მოაწყო.

იტალიური მედია მარჩელო ლიპის არასწორი ტაქტიკის გამო აკრიტიკებდა. ლიპიმ შემადგენლობაში ლუკა ტონი და ალბერტო ჯილარდინო დააყენა, რითაც იტალიური ფეხბურთი ბრაზილიურს დაამსგავსა.

მწვრთნელმა აღნიშნა კიდეც, მეტი მივიღეთ, ვიდრე გვეკუთვნოდაო და საქართველოსთან ცვლილებების გაკეთებას აპირებს.

საქართველოსთან „სკუადრა აძურას" შესანიშნავი ბალანსი აქვს, თან დღეს მოგების შემთხვევაში პირველ ადგილს გაიმყარებს.

### საქართველოს ემოციური მუხტი

ნათქვამია, ფეხბურთი ყველაფერიაო, მაგრამ არა ამ შემთხვევაში — საქართველო სტადიონ „ფრიულიზე" განსაკუთრებული პოლიტიკური მუხტით გამოვა.

შეგახსენებთ: საქართველოსა და რუსეთს შორის ომი 7 აგვისტოს დაიწყო.

ათასობით ქართველმა დაკარგა საცხოვრებელი ადგილი. ახლა ცეცხლი შეწყვეტილია, თუმცა მოლაპარაკებები ისევ მიმდინარეობს.

არსებული სიტუაციის გამო საქართველოს ნაკრებმა ირლანდიასთან საშინაო მატჩი გერმანიაში ჩაატარა.

### ბოლო თამაშები

მჩშ. კვიპროსი 1:2 იტალია
ამ. იტალია 2:2 ავსტრია
ევრო2008. იტალია 0:0 ესპანეთი
ევრო2008. იტალია 2:0 საფრანგეთი
ევრო2008. იტალია 1:1 რუმინეთი

მჩშ. საქართველო 1:2 ირლანდია
ამ. უელსი 1:2 საქართველო
ამ. პორტუგალია 2:0 საქართველო
ამ. ესტონეთი 1:1 საქართველო
ამ. ჩრ. ირლანდია 4:1 საქართველო

### სიახლეები

იტალია

იტალიის ნაკრებში კარგი სიახლეებიც არის და ცუდიც. ლიპის განკარგულებაში არ იქნებიან მცველები, ფაბიო გროსო, ალესანდრო გამბერინი; ნახევარმცველი ჯენარო გატუზო, რომლის ნაცვლადაც ანტონიო ნოჩერინო მიიწვიეს. მომჯობინდნენ ალექს დელ პიერო, ნიკოლა ლეგროტალიე და ალბერტო აკვილანი, რომელიც, სავარაუდოდ, ანდრე პირლოს შეცვლის ძირითადში, ლუკა ტონის კი დელ პიერო ან ვინჩენცო იაკვინტა ჩაანაცვლებს.

*სავარაუდო შემადგენლობა: ბუფონი, ძამბროტა, ლეგროტალიე, დოსენა, კამორანეზი, დე როსი, აკვილანი, დელ პიერო, დი ნატალე, ჯილარდინო.*

საქართველო

ცვლილებებს ექტორ რაულ კუპერიც მიმართავს. სავარაუდოდ, ლევან მჭედლიძე ძირითადში იქნება რატი ალექსიძის ნაცვლად. არ იქნება ტრავმირებული ზურაბ ხიზანიშვილი.

ქართველებს სერია A-ს ორი ფეხბურთელი ჰყავთ — „ემპოლიდან" „პალერმოში" გადასული მჭედლიძე და მილანელი კახა კალაძე. სერია A-ს კუპერიც კარგად იცნობს — ის „ინტერსა" და „პარმას" წვრთნიდა.

*სავარაუდო შემადგენლობა: ლორია, ლობჟანიძე, კალაძე, ღვინიანიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ოდიკაძე, მენთეშაშვილი, ყენია, იაშვილი, მჭედლიძე.*

### საუკეთესო ფეხბურთელები

ანტონიო დი ნატალე (იტალია)

მიმდინარე სეზონი დი ნატალემ შესანიშნავად დაიწყო და ორ მატჩში ოთხი ბურთი გაიტანა. აქედან ორი გოლი მან კვიპროსს შეუგდო და გუნდს სამი ქულა მოუტანა.

30 წლის თავდამსხმელი გატანას საქართველოსთანაც შეეცდება.

კახა კალაძე (საქართველო)

ყველაზე გამორჩეული ფიგურა საქართველოს ნაკრებში. ის დაცვის ცენტრში ითამაშებს და დი ნატალეს დაჭერა სწორედ მასზე იქნება დამოკიდებული. მართალია, კალაძის „მილანმა" სეზონი მარცხით დაიწყო, თუმც ახლა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

### პროგნოზი

იტალია 2:0 საქართველო.

## ევრო 2009-ის შესარჩევი ეტაპი

მინსკი. 9 სექტემბერი. 17 საათი. ტრაქტორი

**საქართველო 0:5 პოლონეთი**

0:1 გლიკი (13), 0:2 კორზიმი (73), 0:3 გლიკი (80), 0:4 კორზიმი (89), 0:5 ცეტნარსკი (90)

| | |
|---|---|
| საქართველო U21: მ. ალავიძე, თ. შონია, სანაია, გ. ფოფხაძე, ნავალოვსკი, დაუშვილი, შ. გრიგალაშვილი (ბეგლარიშვილი), ბუალავა, კობახიძე, ვაწაძე (წინამძღვრიშვილი), ლიპარტია<br>მწვრთნელი: პეტარ სეგრტი | პოლონეთი U21: გლივა, პაზდანი (იედრეჟჩუკი 57), გლიკი, ვრზასკი, პაველეცი, მაკა, ცეტნარსკი, შლიფირჩუკი, რიბუსი, მალეცკი (კისილი 86), კორზიმი<br>მწვრთნელი: ანჟეი ზემილსკი |

გაფრთხილება: რიბუსი

გაძევება: ბუალავა (90)

მსაჯები: ა. ამირხანიანი, ს. ბალიანი, ზ. ოვანესიანი, ა. ჩალარიანი (ყველა სომხეთი)

დამკვირვებელი: ს. დოდი (ისრაელი); დელეგატი: ი. ბურგნონი (ლუქსემბურგი)

# გმადლობთ თბილისური რუსეთისთვის და ნახვამდის!

## სეგრტმა თავი საბოლოოდ ამოწურა

**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჯგუფში ყველა მეტოქესთან წააგო დიდი ანგარიშით და არც პოლონელებს დასწყვიტა გული.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა რუსეთთან ნამატჩევს თქვა, მინსკში გვიან ჩამოვედით და კარგად ვერ მოვემზადეთო.

პოლონეთთან კი ეს არგუმენტი გაუხუნდა და აღარ გამოადგება — საკმარისი დრო ჰქონდა თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენს ნაკრებს ასე სამარცხვინოდ არ წაეგო...

გუშინწინ მინსკიდან სეგრტმა შემოთვალა, ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან და გენმდივან უჩა უგულავასთან უნდა ვისაუბროო. საქართველოში ჩამოსვლით თავს ნულარ შეიწუხებთ ბატონო პეტარ — გირჩევთ, გერმანიაში შეხვდეთ. იმედია, ეს ახალკაცისთვისაც მოსახერხებელი იქნება.

სიმართლე გითხრათ, ქართველი ხალხის სიმპათია ხორვატმა თბილისში რუსების 2:0 ძლევით მოიპოვა და კიდევ იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდა და სხვა უცხოელი მწვრთნელებისგან განსხვავებით, უფრო კომუნიკაბელური იყო. ამით შეინარჩუნა მან პოსტი, არ გაჰყვა კლაუს ტოპმიოლერის კვალს, მაგრამ ამ ბოლო დროს ხორვატმა მეტისმეტი მოინდომა, დიდი ამბიცია გაუჩნდა, ეროვნული ნაკრების თავკაცად რომ არ დანიშნეს, გული დასწყდა და სახალხოდ გამოთქვა პრეტენზია...

ახლა ჩვენს გულებში ჩაიხედეთ, ბატონო პეტარ — ასეთ სიტუაციაში მყოფი ქვეყანა რუსეთთან მატჩის წინ იმედით შემოგყურებდათ და თქვენც იქადნებოდით.

აქედან რაც გამოვიდა, ყველამ ვნახეთ — 0:4. აგრესორი ქვეყნის ნაკრებთან ქართველ ფეხბურთელთა თამაშის მაცქერალნი სირცხვილით დავიწვით.

მოვიდა პოლონეთი და რუსებზე უარესი დაგვმართა...

საბოლოო შედეგი ასეთია — ჯგუფში ბოლო ადგილი, ყველაზე ცოტა გატანილი და კატასტროფული რაოდენობის გაშვებული გოლი.

**ნუკრი ლოლაძე**

**ესპანეთი 2:0 რუსეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21:2 | 24 |
| რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:6 | 15 |
| პოლონეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | 9 |
| ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9:18 | 6 |
| საქართველო | 8 | 2 | 0 | 6 | 6:22 | 6 |

# ზესტაფონის გაბონური მოლოდინი

**ახალი** ჩემპიონატის დაწყებამდე „ზესტაფონმა" ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და პირველლიგელ მარტვილის „მერანს" უგოლოდ დაშორდა.

„ზესტაფონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გ. ჭანტურია, ს. თოდუა, სანტოსი (ზ. ლობჟანიძე 84), ფრიდოლინი, რ. ონიანი, ლომაშვილი, ძარია, ნ. კვასხვაძე, ვიეირა (ბენაშვილი 66), ჩასემი (იონანიძე 46), გელაშვილი.*

„ზესტაფონის" პრესსამსახურის ცნობით, გუნდში კვლავ ელიან გაბონელ ლეგიონერებს — ეტიენ ბიტოოს და პოლ კესანს.

გაბონელებმა გასულ უქმეებზე მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლესოტოს წინაამდეგ (3:0) ითამაშეს.

გაბონელთა კაპიტან კესანს „ზესტაფონთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, ბიტოოს კი — 2010 წლამდე.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ვერ ვხედავ რესურსს

## კახა გოგიჩაიშვილი: საქართველოს ნაკრებს ლიდერიც კი არ ჰყავს

პერუჯა, 1996 წლის 9 ოქტომბერი. საქართველოსა და იტალიის ნაკრებები პირველად შეერკინენ ერთმანეთს, ეს იყო მუნდიალ 98-ის შესარჩევის პირველი შეხვედრა. „სკუადრას" იმ დროს არიგო საკი თავკაცობდა, რომელსაც ბევრს აკრიტიკებდნენ ევრო 96-ის ჩაგდების გამო, იტალიისთვის ზედმეტად შემტევ ფეხბურთს ათამაშებ და შემადგენლობასაც უცნაურს აყენებო. ფრანჩესკო ტოლდო სულ მეორე მატჩს ატარებდა ნაკრებში და სასწაულები აკეთა, გიორგი ნემსაძესა და თემურ ქეცბაიას მკვდარი ბურთები აულო და თამამად ვიტყვით, პერუჯული მეორე ტაიმი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოს ნაკრების ისტორიაში... 0:1 წავაგეთ. კარგად ჩაატარა ის მატჩი მარჯვენა ნახევარმცველმა კახა გოგიჩაიშვილმა. მან საქართველო — იტალიის იმციკლისეულ თბილისურ შეხვედრაშიც ითამაშა: გეხსომებათ, 0:0 დასრულდა და ისე მოხდა, რომ იტალიის ნაცვლად პირველ ადგილზე ინგლისი გავიდა, აპენინელებს კი პლეი ოფში ჯახირი დასჭირდათ რუსებთან, რათა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულიყვნენ. გოგიჩაიშვილი, რომელიც ამჟამად 35-ე სკოლაში ჭაბუკთა მწვრთნელია, სასიამოვნოდ იხსენებს იტალიასთან მატჩებს...



— კახა, გავიხსენოთ, რა იმედებით და განწყობით ჩაზვედით პერუჯაში იტალიასთან სათამაშოდ?

— როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს ხვდები, განწყობაზე და მოტივაციაზე ლაპარაკიც არაა. კი იყო გარკვეული ნერვიულობა მატჩამდე, მაგრამ ამან ძალიან მალე გაიარა, თამაშიც დავალაგეთ და მახსოვს, მეორე ტაიმში როგორი სიწყნარე იყო ტრიბუნებზე, იტალიელები ჩვენგან ასეთ თამაშს არ ელოდნენ.

— მანამდე გრანდებთან თამაშის გამოცდილება უკვე გქონდათ. წინა შესარჩევში გერმანია და ბულგარეთი გყავდათ მეტოქეებად. ამ გამოცდილების გამო იყო, რომ იტალიას არ შეუშინდით?

— ალბათ, ეს ფაქტორიც იყო. თამაშისას ვგრძნობდით ძალის მოზღვავებას, რაც დრო გადიოდა, უფრო გვემატებოდა სითამამე და შეიძლება ითქვას, თანაბრად ვეთამაშეთ იტალიას. მოგებას არ ვიტყვი, მაგრამ ქულის აღება ნამდვილად შეგვეძლო და ეს ლოგიკურიც იქნებოდა. ის მატჩი ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც საქართველოს ნაკრებს ჩაუტარებია.

— ყველაზე მეტად რომელმა იტალიელმა მოახდინა შენზე შთაბეჭდილება?

— გოლი ფაბრიციო რავანელიმ გაგვიტანა, ვინც იმ დროს მართლაც პიკში იყო. მაგრად ითამაშა ტოლდომ, მაგრამ საუკეთესო მაინც ჯანფრანკო ძოლა გახლდათ. ის შეცვლაზე შემოვიდა პირველი ტაიმის შუაში და ძალიან კარგად ითამაშა, ბევრს მოძრაობდა, მეც ხშირად მიწევდა მასთან ბრძოლა, რადგან ჩემი ფლანგიდან უტევდა და ხშირად მიწევდა უკან ჩასვლა. თამაშის მერე ძოლას მაისურაც გავუცვალე.

— ძოლაზე მეტად პაოლო მალდინისთან გიწევდა ჭიდილი...

— მალდინიც საუკეთესო ფორმაში იყო, თუმც მის ავტორიტეტს ჩემზე არ უმოქმედია. ვცდილობდი, თავისუფლად მეთამაშა.

— იმავ შესარჩევში თბილისში იტალიას 0:0 ეთამაშეთ, რითაც ძვირფასი ქულები დააკარგვინეთ. იმ მატჩში თითქმის სულ დაცვაში იყავით — მწვრთნელის დავალება იყო ასეთი, რომ ფრეზე გეთამაშათ?

— არა, რას ამბობთ... ჩვენს პერიოდში არცერთხელ არ გვქონია ასეთი დავალება. თავისუფლად ვთამაშობდით, რადგან სატურნირო მოტივაცია თითქმის არ გვქონდა, იტალიას კი უსიკვდილოდ მოგება სჭირდებოდა და ისე შევატყვე, ნერვიულობდნენ. მართალია, მეორე ტაიმში ბევრს გვიტევდნენ, მაგრამ ერთი-ორჯერ ჩვენც შეგვექმნა დერეფანი და რომ გამოგვეყენებინა...

— ჩვენ ვლაპარაკობთ იმ შესარჩევ ციკლზე სადაც იტალიის გარდა, ინგლისი და პოლონეთიც გყავდათ ჯგუფში. გულწრფელად, გქონდათ ამ ჯგუფიდან გასვლის იმედი?

— გვქონდა. ვიცოდით, რომ ეს უძნელესი იქნებოდა, მაგრამ ვიბრძოდით.

— საქართველოს ნაკრები ექვსჯერ შეხვედრია იტალიას და აქედან ხუთჯერ წააგო, თუმც თითქმის ყველა მატჩში ფრე არცთუ შორს იყო. რატომ ხდება, რომ „სკუადრასთან" ასე თუ ისე გამოგვდის თამაში?

— გეთანხმებით. საერთოდ, იტალიური ფეხბურთი იმით გამოირჩევა, რომ მეტოქეს უზღუდავენ სივრცეს, ჩვენთან კი რატომღაც ასე არ ან ვერ აკეთებენ, თავისუფლების საშუალებას გვაძლევდნენ და თვითონაც გახსნილად თამაშობენ. რაც მახსოვს, ერთადერთხელ წავაგეთ უშანსოდ იტალიასთან — შარშან 0:2, ალბათ, რაღაც სხვა სინდრომია და მეც ვერ გავიგე, თუ იტალიასთან ასეთი ტოლ-სწორი თამაში შეგვიძლია, რატომ ვერ გამოგვდის იგივე მათზე სუსტ ნაკრებებთან... პერუჯას თამაში ჩვენთვის საუკეთესო იყოო, ვთქვი და ასევე კარგი გამოვიდა ანკონაში, როცა 0:2 წავაგეთ, მაგრამ ის ორი პენალტი მსაჯის სინდისზე იყოს. ამაზე ბევრი დაიწერა და ახალს ვერაფერს მივამატებ: რომ არა მსაჯის არაობიექტურობა და ფრანჩესკო ტოტის მსახიობობა, მოგებაც შეიძლებოდა. იმ მატჩში სათადარიგოებში ვიჯექი და მახსოვს, რა გამწარებულები ვიყავით წაგების გამო.

— 10 სექტემბერს იტალია — საქართველოს მორიგი შესარჩევი მატჩია. თქვენი აზრით, რა შეიძლება, დაუპირისპირონ ჩვენებმა მასპინძლებს, წარმატების შანსი რომ ჰქონდეთ?

— რა გითხრათ... ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ მე ვერ ვხედავ რესურსს, რითაც საქართველომ შეიძლება იტალიასთან არ წააგოს. ეს სამწუხარო რეალობაა.

— არგუმენტიც გექნებათ... რაც უნდა იყოს, ხდება ხოლმე როცა იტალიის დონის ნაკრებებიც კარგავენ ქულებს ჩვენი დონის გუნდებთან...

— ბევრი არგუმენტია, რომელთა ჩამოთვლას თვენახევარი მოუნდება ადამიანი. მე ის მიკვირს, რომ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ლიდერები არიან თავიანთ კლუბებში, ნაკრებში კი ეს არ ეტყობათ, არ აჩვენებენ ლიდერის თვისებებს, ჩვეულებრივ ფეხბურთელებად ჩანან. ახლა კი არა, უკვე რამდენი წელია, ასეა. ხვალ-ზეგაც თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს ნაკრების საშველი არ იქნება.

— ანუ, საქართველოს ნაკრებს ლიდერები არ ჰყავს?

— ლიდერები კი არა, ლიდერიც არ ჰყავს. ჩვენ დროს, რომელი ერთი ჩამოვთვალო — ქეცბაია, ქინქლაძე, არველაძეები, ცხადაძე... გარდა იმისა, რომ ინდივიდუალურად ძლიერები იყვნენ, შეკრული გუნდიც ვიყავით.

— ეს უკვე სხვა თემაა. დღეს მაშინდელივით ძლიერი ფეხბურთელები არ გვყავს...

— გასაგებია, მაგრამ ვინც გვყავს, მათ უნდა იკისრონ ლიდერობა. ესეც მართალია, რომ კადრების სიმცირეა. როგორ გინდა, იტალიას ან თუნდაც ირლანდიას მოუგო, როცა ორ რგოლში ფეხბურთელი არ გყავს — ლაპარაკია მეკარეზე და თავდამსხმელზე. საქართველო იტალიას კი არა, პირიქით, იტალია საქართველოს ვერ მოუგებს მეკარისა და ფორვარდის გარეშე.

— ძნელია, შეგედავოთ. თქვენს საქმიანობაზეც ვთქვათ...

— 1991 წელს დაბადებულ ბავშვებს ვავარჯიშებ 35-ე საფეხბურთო სკოლაში. ცუდი თაობა არ მოდის, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. მათ მინდორი სჭირდებათ, ნორმალურ კლუბში გადასვლა სჭირდებათ, ნორმალურ ჩემპიონატში თამაში სჭირდებათ...

**ილია ნანობაშვილი**

# ვილაპარაკოთ ქართულად

## რუსების კითხვა: რატომ დამალა სტუკალოვმა ოსები?

**ცუდია**, რომ 5 სექტემბერს მინსკში არ ვყოფილვართ და მხოლოდ ბელარუსებისა და რუსების გადმოცემით ვიცით, რა ხდებოდა მატჩის ირგვლივ — მატჩის, რომელშიც მტერი ქვეყნის შვილები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ოღონდ ამ ორი ქვეყნიდან ერთს სისხლისმღვრელ აგრესორად იცნობს მსოფლიო.

ისე, დიდის მწუხარებით კი ვთქვით მინსკში არყოფნაზე... იქ ქართულ ფეხბურთს შერცხვენის მეტი არაფერი უნახავს.

ბევრი არ გავაგრძელოთ და, გთავაზობთ რუსული NEWSWEEK.RU-ს მინსკურ მიმოხილვას, რომელიც ჩვენთვის ავადსახსენებელ მატჩზეა...

„ბელარუსი ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი „ტრაქტორის" სტადიონზე ომის საწინააღმდეგო პლაკატებით მივიდა, ყველაფერს ეცადნენ, მაგრამ პოლიტიკური იდილია არ გამოვიდა: რუსი ფანები საქართველოს ჰიმნისას ზურგით შებრუნდნენ...

საქართველოდან ათამდე ქომაგი ჩავიდა მინსკში და ისინი „ნიუსვიკის" ჟურნალისტს ეუბნებოდნენ, რომ ვიზიტის მიზანი რუსი ფანებისთვის ამის თქმაა: „ჩვენ ომი არ გვინდა". ერთმა ქართველმა დემონსტრაციულად ჩაიხუტა ბელარუსი ბავშვი და თქვა, მშვიდობა ყველაფერზე მაღლა დგასო.

რა ხდებოდა მატჩამდე სასტუმრო „ბელარუსში", სადაც ქართველი 21-წლამდელები იყვნენ დაბანაკებულები? ნაკრების ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს შეზღუდვა დაუწესა, გარეთ არ გახვიდეთო. თამაშის დღეს ქართველი ფეხბურთელები სასტუმროს ფოიეში დივანზე იყვნენ წამოწოლილნი, როცა „ნიუსვიკის" ჟურნალისტი ერთ-ერთ მათგანთან მივიდა ინტერვიუსთვის, ფეხბურთელმა უკმაყოფილო ხმით გიორგი ნავალოვსკისთან გააგზავნა, კაპიტანი ისაა და ელაპარაკეთო.

„მე რუსულად არ ვსაუბრობ. მხოლოდ ქართულად" — უთხრა ჟურნალისტს ნავალოვსკიმ, რაზეც ყველა ფეხბურთელმა სიცილი დაიწყო.

ქართველთა ხორვატმა მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა ჟურნალისტს ჰკითხა, ესპანელი ხართო? და როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, მხრები აიჩეჩა, „SORRY, THEN", მაშინ არ შემიძლიაო.

ულვაშა ხორვატი მატჩამდე ამბობდა, უნდა მოვუგოთ რუსეთს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ოკუპირებას აგრძელებსო.

„ნიუსვიკი" წერს, სატურნირო მოტივაციის ნაკლებობის მიუხედავად, ქართველ 21-წლამდელებს რუსეთთან მოგების შემთხვევაში სოლიდური პრემიებს შეპირდნენო. ჟურნალისტებს სურთ ამის გარკვევა, თუმცა ფეხბურთელებმა არაფერი უთხრეს.

რუსი 21-წლამდელების მწვრთნელი ბორის სტუკალოვი კი გაკვირვებული ყოფილა, ქართველი ჟურნალისტები რატომ არ მეკარებიანო.

„ეტყობა, ასეთი ბრძანება აქვთ. მე მაღალფარდოვან პატრიოტულ სიტყვეს არ ვიძახი და მით უმეტეს, ომზე არ ვლაპარაკობ. ფეხბურთელებს მხოლოდ წმინდა საფეხბურთო დავალებებს ვაძლევ".

ნალჩიკის „სპარტაკის" ნახევარმცველი ოლეგ სამსონოვი: „დავიჩაგრეთ. საქართველომ საკუთარ ქვეყანაში გვიმასპინძლა, ჩვენ კი ნეიტრალურზე ვიღებთ. არადა, თბილისური მატჩისას სულაც არ იყო დამშვიდებული სიტუაცია — ჰიმნზე გვისტვინეს, ფეხბურთელებს კი მინდორზე და ქუჩაში ისეთი სიტყვები გვიძახეს, გახსენებაც მრცხვენია".

ახლა კი მატჩის მეორე ტაიმში მომხდარ ინციდენტზე, როცა ფეხბურთელები ერთმანეთს წაეჩხუბნენ. მათ გასაშველებლად მსაჯები კი არა, სტუკალოვიც მივიდა. რუსთა მწვრთნელი თურმე მატჩამდე შიშობდა, ქართველებისგან პროვოკაციაა მოსალოდნელიო...

„ჩვენ შემადგენლობაში ერთი ფეხბურთელი ოსეთიდან გვყავს, ერთი სულაც ცხინვალიდანაა. ალბათ, ქართველებმა ეს იციან".

რუსთა ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ალან კასაევი ჩრდილოეთ ოსეთში დაბადებულ-გაზრდილია, ვლადიკავკაზის „ალანიაში" თამაშობდა და საქართველოსთან მატჩისთვის სერიოზულად ემზადებოდა...

„სამხრეთ ოსეთში იმდენი ნათესავ-მეგობარი მყავს, რომ ცუდი ფიქრები არ მასვენებს. თამაშისას ძლიერ ვიკავებდი თავს უხეშობისგან და ქართველებისგან დისტანციის დაჭერას ვცდილობდი. ასე უფრო ადვილია თავის გაკონტროლება. თუმცა ჩემს თავზე მეტად თანაგუნდელ მიხაილ ბაკაევზე ვფიქრობდი. მას ცხინვალში მშობლები ჰყავდა, რომლებიც ურეკავდნენ და მომხდარ საშინელებებზე უყვებოდნენ. ვერ წარმომიდგენია, ბაკაევს ფეხბურთზე როგორ უნდა ეფიქრა..."

სხვათა შორის, ბაკაევი სტუკალოვმა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეუშვა მინდორზე...

„ბაკაევმა ცოტა ხანს ითამაშა, თუმც რამდენჯერმე უხეშობა მოასწრო" — ამბობს სტუკალოვი.

თვითონ ბაკაევი კი ნამატჩევს ღიმილად იღვრებოდა: „აი, ასეთი რევანში ავიღეთ. ბევრი ლაპარაკი არ მინდა, ისედაც ყველაფერი ცხადია — 4:0. ჩვენ ქართველებზე ძლიერები ვართ".

ბოლოს, კითხვები ჩვენც გაგვიჩნდა სტუკალოვის მიმართ: რატომ არ დააყენა კარში სოსლან ჯანაევი, რომელიც აქამდე შეუცვლელად ძირითადში ჰყავდა? ნუთუ მართლა ტრავმა იყო არტიომ ძიუბასა (რომელიც ინგუშია) და ალან ძაგოევის მინსკში არყოფნის მიზეზი?.."

**ილია ნანობაშვილი**



## geo_geo_fan@hotmail.com

ჩვენი რუბრიკა გრძელდება. მით უმეტეს, სანაკრებო დღეებია და მთლად „ტკბილი" წერილები არ მოგვდის გულშემატკივრისგან. სადავო არაფერია — ნაკრებები აგებენ, ხალხიც ღიზიანდება. მართალია, დღევანდელ წერილებში საკამათო ბევრი რამეა, თუნდაც მჭედლიძის 5-ნომრიანი მაისურა (მჭედლიძეს ჯერ კიდევ ორი წლის წინ ეცვა ეს ნომერი 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას), ახალგაზრდული ნაკრების კრიტიკა, ვალენტინ ივანოვის საჩუქარი, რაც რუსულ აგრესიას ვერაფრით გაანელებს და გაამართლებს... თუმცა ქომაგი ქომაგია და ჩვენ მათ აზრებს პატივს ვცემთ...




# კითხვები, კითხვები...

**PARTISAN777:** სალამი „სარბიელს"!

მართლაც რომ მძიმე კვირა გვქონდა. თუმცა, ჩემი აზრით, აქცენტები არასწორად კეთდება. კი ბატონო, წააგეს ახალგაზრდებმა, მაგრამ მათი ბრალი იყო? მხოლოდ წაგების მერე დაიწერა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს მებრძოლები აკლდა. მხოლოდ ამ დღეებში იწერება, რომ ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი (!) და იმ დაცვის ჩამდუღაბებელი, რომლემაც ფეხი არ გაანძრევინა რუსების თავდასხმას, ეროვნულის განაცხადშიც არ მოხვდა. ახლა გავიხსენოთ, რომ ის კაცი, რომელმაც რუსების დაცვა „დაიხია" და ჯადო-გოლი გაიტანა, სათადარიგოთა სკამზე იჯდა? ყენიამ და მჭედლიძემ ითამაშეს (ეს კიდევ ცალკე სალაპარაკო თემაა) და გოლიც მაგათია, მაგრამ პრიორიტეტები არ უნდა განისაზღვროს?! ბურთს რომ ვერ იჭერდა ახალგაზრდული ნაკრები და პასის მაგივრად მოცილებაზე რომ თამაშობდა, ყენია არ სჭირდებოდა?! სად ირლანდიასთან თამაში და სად რუსეთთან. კიდევ დანარჩენები, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი... ასე რომ, ჩემო კეთილო ხალხო, თავი დაანებეთ ახალგაზრდა ბიჭების ლანძღვას და ნუ დაემსგავსებით იმათ, რომლებიც აგვისტოს ომის წაგებას ჯარისკაცებს აბრალებენ. პასუხი იმ „გენერლებს" მოსთხოვეთ, რომლებსაც სტრატეგიული გეგმების დაწყობა არ შეუძლიათ.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს... კუპერის დანიშვნის მომხრე არ ვიყავი, მაგრამ მეკარის საკითხთან დაკავშირებულმა კომენტარებმა ნათლად გამოაჩინა, რომ დადებითად განსხვავდება ტოპისგან.

ისე ნაკლებად მჯერა, რომ მჭედლიძემ თავისით ამოირჩია 5 ნომერი. მაისურების შეკერვა ვერ მოასწრო ნაკრების ახალმა ჩამცმელმა?

ყენიაზე კი ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სანამ მწვრთნელის დავალებასასრულებს, ნაკრები ცუდად თამაშობს. როგორც კი თავის ჭკუაზე თამაშობს, მაშინვე გოლი გააქვს. ეგ ბიჭი მართლაც რომ ჩვენი ფეხბურთის იმედია, ყურადღებით ვიყოთ, არავინ „გაგვიფუჭოს".

ხვალინდელ თამაშს კი გაორებული გრძნობით ველოდები. იტალიელები ჩვენი „ბულკები" არიან. მეორე მხრივ კი, ახალ ციკლთან დაკავშირებული ჩვენი იმედი ალბათ ხვალ მოკვდება.

**V. KIKALISHVILI:** მივესალმები „სარბიელს"! მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით ხშირად გწერდით. როგორც გულშემატკივარმა, ახლაც გადავწყვიტე, რომ ჩემი ბანალური პოზიცია დამეფიქსირებინა ამ საინტერესო რუბრიკაში. პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ქართულ ფეხბურთს, მგონი, ისევ სალათას ძილით სძინავს (სახელმწიფოს კარგა ხანს არ ეცლება). გაუგებარია აგრეთვე ისიც, თუ რატომ ხდება რუსეთის ლანძღვა საფეხბურთო ჭრილში. გასაგებია, რომ მთელი ქვეყანა მოიცვა განვითარებულმა მოვლენებმა და აგრესიამ, მაგრამ გაუგებარია, საფეხბურთო მოღვაწე იმასაც საუბრობს, რომ რუს კოლეგებთან დაკავშირება ქვეყანაში შექმნილი ამბების გამო თურმე არც აინტერესებს. რუსთა დაცვისგან ღმერთა დამიფაროს, მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს, ავადმყოფ სლავა მეტრეველს თბილისში 1996 წელს მოსკოვის „ტორპედოს" ჩამოყოლილმა ვალენტინ ივანოვმა 2000 დოლარი საჩუქრად რომ ჩამოუტანა (თანაც არაერთხელ დახმარებია). მაშინდელ საფეხბურთო ჩინოსნობას (ახლანდელის არანაკლებია) კი ეს ფაქტი არც გახსენებია. ასეთი მაგალითი უამრავია და მით უმეტეს, რომ ბატონი სლავა ქართული ფეხბურთის ლეგენდა გახლდათ.

ახლა რაც შეეხება ნაკრების თემას. ახალგაზრდული ნაკრების ამაზრზენი თამაში და მარცხი კვლავ შავ ლაქად დაედო ქართულ ფეხბურთს. სეგრტი მანამდე ემოციებს რომ აჰყვა და არც ის მგონია, რომ რომელიმე ქართველი მწვრთნელი მას ჩამოუვარდებოდეს. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ, ეროვნულის უგერგილო თამაში და მსოფლიოზე გასვლის ილუზია. ირლანდიასთან მატჩის შემდეგ თქვენი გაზეთის სათაურიც ლოგიკურად ჟღერს: „მარტო კუპერით ტრაპს ვერ გადაახტები". სხვათა შორის, კუპერის მატჩისშემდგომი კომენტარიც შერბილებული იყო: „მთლიანობაში გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარო. შემადგენლობაც, მგონი, შეხედულებისამებრ დაახვედრეს. მით უმეტეს, რომ უთამაშებლობის პრობლემა ბევრს აწუხებდა და ალეკო ამისულაშვილის გამოუძახებლობა, მგონი, დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ამ გუნდის თავზე. ხოლო პრესა კარგა ხანია, აღნიშნავს იგივეს და კითხვები სხვებზეც მრავლადაა. ბოლო და ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც ჩვენი უსუსური ჩემპიონატის სახეს განასახიერებს, ლაშა დეკანოსიძეა. კერძოდ კი, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილ ბელარუსულ ბატე-ში ჩარიცხულ ფეხბურთელს, გაირკვა, რომ გუნდებში მილების ნაცვლად, პირიქით, იწუნებდნენ. ღიად არავინ საუბრობს, მაგრამ მოთამაშისგან ფულის აღების პრაქტიკა დიდი ხანია, მოქმედებს ჩვენს მწვრთნელ-ხელმძღვანელებზე. საბოლოოდ კი, ოპტიმისტურად ვისურვებდი ქართული ფეხბურთის კონცეპტუალურ განვითარებას და იმედს, რომ ბოლოსდაბოლოს, დადგება საქმის პატიოსნად კეთების და ნაკრების გამართულად თამაშის დრო.



# ბრაზილიელი მამლუქი

**საქართველოს** ნიჭიერი ფეხბურთელები არასდროს აკლდა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ ნიჭს გზას ვერ აძლევენ და ამის გამო ბევრი მათგანი უცხოეთში მიდის, სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელთა მეტი შანსი ჩანს.

ბრაზილიის „ატლეტიკო პარანაენსეს" საფეხბურთო აკადემიაში 6-თვიან სტაჟირებას გაივლის ქართველი ფეხბურთელი, 1990 წელს დაბადებული გიგი წაქაძე — ამპლუით თავდამსხმელი.

წაქაძე პირველი ქართველია, რომელიც „ატლეტიკო პარანაენსეს" აკადემიაში გაივლის სტაჟირებას.

ბრაზილიელებს ქართველ ფეხბურთელზე ინფორმაცია იქ მოსაქმე ქართველმა პროფესორმა გოჩა ალადაშვილმა მიაწოდა.

გეცოდინებათ, ალადაშვილი ბრაზილიელ მწვრთნელებს ლექციებს უკითხავს.

ალადაშვილმა თბილისში ყოფნისას ნახა წაქაძის თამაში და „ატლეტიკო პარანაენსეს" მისი მონაცემები გაუგზავნა. ბრაზილიელებმა მალევე გამოთქვეს ქართველი ჭაბუკის წაყვანის სურვილი.

საქართველოში ბრაზილიის საელჩო არ არის, წაქაძემაც ვიზა სომხეთში აიღო და უკვე ორი დღეა, ქალაქ კურიტიბაში ჩავიდა. დღეს კი პირველ ვარჯიშსაც გამართავს აკადემიაში.

ამ ექვსი თვის განმავლობაში „ატლეტიკო პარანაენსე" ჩვენებურს დააკვირდება და თუ მოეწონათ, კონტრაქტსაც გაუფორმებენ.

გიგიმ ფეხბურთის თამაში „ნორჩ დინამოელში" დაიწყო, შემდეგ კი კარლო მჭედლიძის აკადემიაში გადავიდა და „ოლიმპიკის" ძირითად შემადგენლობაში მალევე დაიმკვიდრა ადგილი.

გასულ სეზონში რეგიონალლიგაში „ოლიმპიკს" 22 გოლით შეეწია.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბურდული ჯერ არ გარკვეულა



**როგორც** ჩანს, სიმფეროპოლის „ტავრიასა" და ლადო ბურდულის გზები საბოლოოდ არ გადაკვეთილა. მართალია, ჩვენებური ისევ ყირიმულ კლუბშია, მაგრამ ჯერჯერობით ისევ აკვირდებიან. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ასე წერს.

ამ დაკვირვებაში კი ბურდულმა საკონტროლო მატჩიც ითამაშა — „ტავრია" თავისივე ახალგაზრდულ გუნდს გაეჯიბრა და 3:0 მოუგო. ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა, ბურდული კი პირველში იყო მოედანზე.

ვასილ გიგიაძემ მეორე ტაიმში ითამაშა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ომარ თეთრაძე ალბათ დარჩება

**მახაჩყალის** „ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ კლუბი რომ დატოვა, უკვე ვწერდით, თუმცა ერთი მატჩი მაინც მისი თავკაცობით ჩატარდა და რუსი ჟურნალისტების ცნობით, შესაძლოა, გუნდში მაინც დარჩეს. მახაჩყალელები სტუმრად 0:0 ეთამაშნენ როსტოვის სკა-ს, თეთრაძის საკითხი კი დღე-დღეზე უნდა გაირკვეს. ყოველ შემთხვევაში, დიდი შანსი ყოფილა, ისევ ის გაუძღვეს გუნდს.

სკა-სთან მატჩის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად კი გოჩა ხოჯავა დაასახელეს, რომელმაც სრულად ჩაამთავრა შეხვედრა, ისევე, როგორც ვალერი აბრამიძემ, ზურაბ არზიანმა და რევაზ ჯიქიამ. მიხეილ აშვეთია კი მე-80 წუთზე შეცვალეს.

გიორგი ნავალოვსკი ახალგაზრდულ ნაკრებშია, რევაზ ბარაბაძე კი დაშავებულია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თვეში 10-15 ათასი დოლარი
## მოდი და, ნუ წახვალ ყაზახეთში

**რამდენი** აქვთ ხელფასი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელებს?

დაახლოებით ვიცით, რომ მაქსიმუმი თვეში 3 000 დოლარია.

და იცით, რამდენი აქვთ ყაზახეთის ჩემპიონატის რჩეულ ფეხბურთელებს?

10-15 ათასი დოლარი!

ეს რიცხვი ოფიციალურად, უკრაინულ ვებგვერდთან ინტერვიუში თქვა ყაზახური „ესილ-ბოგატირის" მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ევგენი იაროვენკომ.

ცნობისთვის, ეს ის იაროვენკოა, 1988 წელს სეულის ოლიმპიადა რომ მოიგო გელა კეტაშვილთან ერთად, როცა საბჭოთა კავშირმა ფინალში ბრაზილია დაამარცხა.

10-15 ათასს რომ გაიგონებ, მოდი და, უსაყვედურე ქართველ ფეხბურთელებს, ყაზახეთში სათამაშოდ რატომ მიდიხართო.

თანაც, მე თქვენ გეტყვით, იქ საუკეთესო ქართველები მიდიოდნენ.

ყარაგანდის შახტიორელ [illegible] თუ არ ჩავთვლით, ყაზახეთის ჩემპიონატში ვინც თამაშობს, არცერთი არ გახლდათ საქართველოს ჩემპიონატში დიდად გამორჩეული.

ფული, ფული! — აი, რით წამოიწია წინ უეფაში გაწევრიანებული ყაზახეთის საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთმაც.

ხომ გახსოვთ, სამი წლის წინ ისინი პირველად რომ გამოვიდნენ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, 12 მატჩიდან ოდენ ერთი ქულა აიღეს (ისიც თბილისში, საქართველოსთან), მეორე ციკლში კი უკვე 10 დააგროვეს და სომხეთსა და აზერბაიჯანს გაასწრეს.

იგივე ითქმის კლუბებზეც: შარშან კუშტანაის „ტობოლმა" სამი ეტაპი გაიარა ინტერტოტოს თასზე, მათ შორის, „ზესტაფონიც" შემოემარცხა. მათმა ჩემპიონმა „ასტანამ" კი ჩვენი რუსთავის „ოლიმპი" იოლად გამოთიშა ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან...

**ილია ნანოგაშვილი**




### ჩოგბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ა.წ. 12, 13, 14 სექტემბერს „ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის" კორტებზე ჩატარდება ბიზნესმენთა ღია ტურნირი „რაკიინის თასზე". ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს განურჩევლად მისი საქმიანობისა.

ტურნირში მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ მოგვაწოდოთ განაცხადი 11 სექტემბრამდე ფაქსზე: 953704; 95 27 81 ან E-MAIL: GTF@GOL.GE

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომრებზე: 953800; 952781

*ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# იუბილარმა საჩუქრად ვიკინგის თავი მოითხოვა



კეირუშ დეკუსი ეიმედება

I ჯგუფი

**შვედეთი — უნგრეთი**
**პორტუგალია — დანია**
**ალბანეთი — მალტა**

**„საუკეთესო** საჩუქარი დაბადების დღეზე დანიასთან მოგება იქნება — თქვა პორტუგალიელმა ჟოაუ მოუტინიუმ, რომელსაც ორშაბათს 22 შეუსრულდა — ეს მეტოქე მალტაზე ბევრად ძლიერია, მაგრამ მისი დამარცხებაც შეგვიძლია".

კარლუშ კეირუშის გუნდმა მალტაზე 4:0 მოიგო და ახლა დანიელთა უქულოდ გასტუმრებასაც აპირებს. „ვიკინგებმა" პირველ ტურში სტუმრად უნგრეთთან უგოლო ფრე ითამაშეს.

„დარწმუნებული ვარ, რომ სამი ქულის აღებას შევძლებთ" — განაცხადა კეირუშმა. პორტუგალიას დანიისთვის ცხრიდან შვიდი შეხვედრა მოუგია, მაგრამ ჩელსელი დეკუ თანაგუნდელებს აფრთხილებს, მოწინაალმდეგის შეუფასებლობა არ ეგებისო.

„იმდენივე მომენტი აღარ გვექნება, რაც მალტასთან შევქმენით და ეს უკვე ნამდვილი გამოცდა გამოვა. ამ მატჩში გამოჩნდება ჩვენი ნაკრების ძალა" — აღნიშნა დეკუმ.

კეირუში შემადგენლობას ალბათ არ შეცვლის. უგუ ალმეიდა ეული ფორვარდი იქნება, ფლანგებიდან კი ნანი და სიმაუ დაეხმარებიან. გამთამაშებელი დეკუა, ხოლო საყრდენებად ისევ რაულ მეირელეშს და კარლუშ მარტინშს გაამწესებს.

დანიელთა ფორვარდი იონ დალ ტომასონი უნგრეთთან მსუბუქად დაშავდა, მაგრამ სადღეისოდ გამოკეთდება. მეკარე ტომას სორენსენის თამაში კი საეჭვოა. „უნგრეთში ვერ ვივარგეთ, მაგრამ მოდევნო მატჩებისთვის მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი — განაცხადა მეკარემ — ერთი პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ მომდევნო მეტოქე პორტუგალიაა".

შვედებს კი უნგრეთთან მატჩის წინ კიდევ ერთი ტრავმირებული გამოაკლდათ. დაშავებულ ანდრეას სვენსონს და კრისტიან ვილჰელმსონს ტობიას ლინდეროტიც შეუერთდა, რომელიც ალბანეთთან შეხვედრის პირველ ტაიმში შეცვალეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |



ჰიცფელდის ბიჭებს ფრაიც დაემატა

# ალექსანდერ ფრაის მაისურა მოენატრა

II ჯგუფი

**ლატვია — საბერძნეთი**
**შვეიცარია — ლუქსემბურგი**
**მოლდოვა — ისრაელი**

**ისრაელთან** 2:2-ის შემდეგ, შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა თქვა, რომ ორბურთიანი სხაობის განიავების გამო აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს.

„ისრაელიდან ხელცარიელნი ჩვენზე უფრო ძლიერი გუნდებიც წასულან, ამიტომ, ვფიქრობ, რომ იქ მიღწეული ფრე კარგი შედეგია" — ბრძანა, გერმანელმა, რომლის ნაკრებიც თელ ავივში 2:0-ს იგებდა და ბოლოს ორი გოლი გაუშვა.

დღეს შვეიცარიას ალბათ არ გაუჭირდება შინ ლუქსემბურგის ძლევა. ძირითად შემადგენლობაში ალბათ ალექსანდერ ფრაი გამოჩნდება, ვინც ევროპის ჩემპიონატზე პირველივე შეხვედრაში დაშავდა და თითქმის სამი თვე გაუცდა.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ალექსანდრ ფრაიმ ლუქსემბურგს სამი გოლი გაუტანა, მაგრამ ახლა ამბობს, რომ მისთვის მთავარი გოლები კი არა, ნაკრებში დაბრუნებაა:

„ის დიდი ხნის წინ იყო, ამჯერად კი თამაშს ისე ვარ მონატრებული, რომ გოლებზე სულ არ ვფიქრობ. ერთი სული მაქვს, ნაკრების მაისურას როდის მოვირგებ".

ოტო რეჰაგელის საბერძნეთმა შაბათს ლუქსემბურგში მოიგო, ახლა კი ლატვიას რიგაში ეწვევა.

„ლატვიელებმა მოლდოვაში იმარჯვეს და კარგი განწყობით დაგვიხდებიან. ისინი ჩვენთან მოგებასაც შეეცდებიან და დარწმუნებული ვარ, მძიმე ბრძოლა გველის. იოლად დასამარცხებელი მეტოქეები აღარ არსებობენ. ლატვიის დონის გუნდებთან გასვლით მატჩებში განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს" — განაცხადა ანგელოს ხარისტეასმა.

მოლდოვაში ჩასული ისრაელის ნაკრების მწვრთნელ დრორ კაშტანს კი მიაჩნია, რომ შვეიცარიასთან საშინაო ფრით ჯგუფიდან გასვლის შანსი არ დაუკარგავთ. „რომ მოგვეგო, არც მაშინ გვექნბოდა ჯგუფიდან გასვლის გარანტია და არც ფრით დაშავებულა რამე, რადგან შესარჩევი ციკლი ახალი დაწყებულია" — განაცხადა კაშტანმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლატვია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ისრაელი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# რადას დასაწყისი

III ჯგუფი

**სლოვენია — სლოვაკეთი**
**ჩრდ. ირლანდია — ჩეხეთი**
**სან მარინო — პოლონეთი**

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ნაკრების მცველი ჯორჯ მაკარტნი ჩეხებთან მატჩს საზარდულის ტრავმის გამო ალბათ გამოტოვებს. მწვრთნელმა ნაიჯელ უორთინგტონმა თქვა, რომ მისი თამაშის შანსი ძალიან მცირეა, ისევე, როგორც კეილი ლაფეტისა, რომელსაც წელი სტკივა.

ნახევარმცველმა კიტ გილესპიმ ბრატისლავაში სლოვაკებთან მიღებული კოჭის ტრავმა მოირჩინა და, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდება.

უორთინგტონის გუნდმა შაბათს სლოვაკეთში ერთი ფორვარდით ითამაშა და წააგო. ამჯერად მწვრთნელი შეტევაში ორი კაცის გამწესებას აპირებს. დევიდ ჰილის მეწყვილე უორენ ფინი ან მარტინ პიტერსონი იქნება.

„ბრატისლავაში ბავშვური შეცდომების გამო წავაგეთ და საქმე გავირთულეთ. ახლა უფრო რთული მატჩი გველის, ვიდრე შაბათს გვქონდა, მაგრამ ამჯერად ფანების მხარდაჭერის გვეიმედება. ჯგუფიდან გასვლაზე პრეტენზია თუ გვაქვს, ეს შეხვედრა უნდა მოვიგოთ" — ბრძანა ნაიჯელ უორთინგტონმა.

ბელფასტში ჩეხების ახალი მწვრთნელის, პეტრ რადას დებიუტი შედგება, რომელმაც გუნდი ივლისში კარელ ბრიუკნერისგან ჩაიბარა.

„პლზენის", „ტეპლიცეს" და „იაბლონეცის" ყოფილი თავკაცი ბრიუკნერის თანაშემწედ მუშაობდა, მანამდე კი, 1998-2000 წლებში ნაკრებში იოზეფ ჰოვანეც ეხმარებოდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სლოვენია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სან მარინო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჩრდ. ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |



პეტრ რადას სანაკრებო დებიუტი ბელფასტში შედგება

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## სკამის მხეხავი პერი გაიქცა

**IV ჯგუფი**

**რუსეთი — უელსი**
**აზერბაიჯანი — ლიხტენშტაინი**
**ფინეთი — გერმანია**

**რუსეთთან** მატჩის წინ 28 წლის უელსელმა ფორვარდმა პოლ პერიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა.

პერი შაბათს აზერბაიჯანთან სათადარიგოებში იყო და მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა არ ათამაშა. ფეხბურთელი ტოშაკზე გაბრაზდა და ნაკრების კარი გაიხურა.

„როგორც ჩანს, მწვრთნელს არ ვჭირდები და ეროვნული გუნდიდან ამიტომ მივდივარ — დაიჩივლა ფორვარდმა — 28 წლის ვარ და სჯობს, ახლავე დავასრულო სანაკრებო კარიერა, ვიდრე ასე ტყუილად ვიარო და სათადარიგოებში მაყურებლებს ვუყურო. აქამდე ვითმენდი, მაგრამ აზერბაიჯანთანაც რომ არ მათამაშა, მოთმინების ფიალა ამევსო. ტოშაკის ხელში მოედანზე სულ რამდენიმე წუთი მაქვს გატარებული".

უელსელებს ტრავმის გამო ნახევარმცველი ჯეისონ კუმასი და თავდამსხმელი კრეიგ ბელამი დააკლდებათ, მცველი გარეთ ბეილი კი გამოკეთდა და სათამაშოდ მზადაა.

რუსთა თავკაცმა გუს ჰიდინკმა კი განაცხადა, რომ „ტოტენჰემში" გადასული რომან პავლიუჩენკო ჯანზეა და დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ტოტენჰემისგან" წერილი მივიღეთ, რომელშიც გვთხოვენ, რომ პავლიუჩენკოს გავუფრთხილდეთ. ის მთელი კვირის განმავლობაში ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდა, ჯანმრთელია და ექიმებმა თამაშის უფლება მისცეს.

ვიცი, რომ უელსს ბელამი და კუმასი არ ეყოლება, მაგრამ ეს საქმეს არ გვიადვილებს. ის ფეხბურთელები, რომლებსაც ტოშაკი შანსს მისცემს, უფრო მოტივირებულნი იქნებიან.

მართალია, ტოშაკის გუნდმა აზერბაიჯანთან შთამბეჭდავად ვერ ითამაშა, მაგრამ ახლა დიდ და პატარა ნაკრებებს შორის საგრძნობი სხვაობა აღარაა. თუნდაც იტალიამ, კვიპროსს ბოლო წუთზეღა მოუგო.

წინა შესარჩევში უელსმა ჩეხებს და გერმანელებს ქულები აართვა და ხელწამოსაკრავი არაა. ვიმედოვნებ, რომ ისინი ჩვენგან უქულოდ წავლენ".

გერმანიამ შაბათს ლიხტენშტაინთან გაისეირნა, დღეს კი უკვე ფინეთთან მძიმე ბრძოლა ელის. იოახიმ ლიოვი შეტევაში ისევ კლოზე-პოდოლსკის წყვილს გაამწესებს, დაცვის ცენტრში კი ექსპერიმენტს გააგრძელებს და ვესტერმანი-თაშჯის დუეტს ენდობა.

კრისტიან პანდერი დაშავდა და სახლში დაბრუნდა, მიხაელ ბალაკი კი კვლავაც არ გამოკეთებულა.


ჯონ ტოშაკს რუსეთი და ჰიდინკი გამოცდიან

გერმანია ფინეთთან 20 მატჩში მხოლოდ ერთხელ, 1923 წელს დამარცხებულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 3 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ფინეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| რუსეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლიხტენშტაინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |



## ესპანეთის მეტოქე ესპანეთია

**V ჯგუფი**

**თურქეთი — ბელგია**
**ესპანეთი — სომხეთი**
**ბოსნია — ესტონეთი**

**ვისენტე დელ ბოსკეს** წარმატებული დებიუტით შემოფარგვლა რომ არ უნდა, ძნელი მისახვედრი არ არის, ევროპის მოქმედი ჩემპიონების თავკაცი სომხეთის ნაკრებთანაც სამ ქულას გეგმავს და წესით, ესპანელებს საკუთარ კედლებში მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეთ, მიუხედავად იმისა, რომ დავიდ სილვა და ფერნანდო ტორესი აკლიათ.

„ჩვენ ევროპის მოქმედი ჩემპიონები ვართ და ყველა განსაკუთრებული მონდომებით გვეთამაშება. თუმცა ეს არ მაშინებს, რადგან ჩემი გუნდის მხჯერა, ჩვენ გვაქვს საკმარისი ძალა და არსენალი, რათა ყველა მეტოქეს გავუმკლავდეთ. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი მთავარი პრობლემა და მეტოქე მხოლოდ ჩვენვე შეიძლება გავხდეთ, თუ სათანადოდ არ ვიმოქმედებთ" — თქვა დელ ბოსკემ.

საინტერესო და მნიშვნელოვანი მატჩია თურქეთში, სადაც ბელგია ჩადის სტუმრად. პირველი მატჩი ორივე ნაკრებმა მოიგო. მასპინძლებს ალბათ მხოლოდ გამარჯვება დააყაბულებთ, ბელგიელები კი, სავარაუდოდ, ფრეზეც ყაბულს იქნებიან.

სხვათა შორის, ეს თურქეთისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეასე მატჩი იქნება. წინა 99-დან თურქებს 35 მოგება, 17 ფრე და 47 წაგება აქვთ.

ჯგუფის მესამე მატჩში ბოსნია ესტონეთს მასპინძლობს და ფავორიტადაც ითვლება, მაგრამ ესტონელებმა ბოლო პერიოდში აშკარად მოუმატეს და ვინ იცის, რა მოხდება სარაევოში.

**ძოძი ძანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სომხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## სლავენ ბილიჩი: ვინ მალავს ფეხბურთელებს?

**VI ჯგუფი**

**ხორვატია — ინგლისი**
**ანდორა — ბელარუსი**
**ყაზახეთი — უკრაინა**

**ხორვატთა** მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა ინგლისთან მატჩის წინ რაფაელ ბენიტესის და ალექს ფერგიუსონის საკრიტიკოდ მოიცალა.

სტივენ ჯერარდი „ლივერპულიდან" და ოუენ ჰარგრივსი „მანჩესტრიდან", დღეს ზაგრებში ვერ ითამაშებენ. პირველმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა, მეორეს კი მუხლის ტრავმა ბოლომდე არ მოურჩენია.

„როცა კლუბის ინტერესი ნაკრებისაზე წინ დგას, ეს უკვე დიდი პრობლემაა — თქვა ხორვატთა დამრიგებელმა — ამით ეროვნულ გუნდს ვერ დაეხმარები. რაღა ახლა მოუნდათ ჯერარდისთვის ოპერაციის გაკეთება? მართლა ისეთი ტრავმა აქვს ჰარგრივსს, რომ თამაში არ შეუძლია? მე კლუბებთან პრობლემა არასოდეს მქონია. თუ ისინი ტრავმის გამო ნაკრებში ვერ მოდიან, მაშინ არც კლუბში თამაშობენ. ინგლისში კი სანაკრებო მატჩების დროს კლუბები ფეხბურთელებს მალავენ.

ისე, გამიხარდა, რომ ჯერარდი არ იქნება, როგორც ორი წლის წინ, როცა დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა. მას ხომ მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

თუმც ინგლისს ჰყავს უეინ რუნი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, მაგრამ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო დონეზე ველარ უმატებს, მისგან უფრო მეტს ველი".

| 15551 | ყატარი-ბაჰრეინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15533 | ურუგვაი-ეკვადორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15536 | პერუ-არგენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15538 | აშშ-ტრინიდადი და ტობაგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15540 | მექსიკა-კანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15542 | ჰონდურასი-იამაიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15543 | გვატემალა-კუბა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15545 | ჰაიტი-კოსტა რიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15547 | ჩადი-სუდანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12047 | რუსეთი-უელსი 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12048 | აზერბაიჯანი-ლიხტენშტეინი 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |
| 12053 | ყაზახეთი-უკრაინა 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12054 | ჩერნოგორია-ირლანდია 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12055 | მოლდოვა-ისრაელი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12056 | ლიტვა-ავსტრია 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12057 | ფინეთი-გერმანია 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12058 | თურქეთი-ბელგია 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12059 | ლატვია-საბერძნეთი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12060 | ბოსნია-ესტონეთი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12061 | შვედეთი-უნგრეთი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12066 | მაკედონია-ჰოლანდია 2,5 | 1.80 | 1.90 | 5.00 |
| 12068 | ისლანდია-შოტლანდია 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12069 | ჩრდ ირლანდია-ჩეხეთი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12070 | სლოვენია-სლოვაკეთი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12071 | ალბანეთი-მალტა 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12072 | ხორვატია-ინგლისი 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12073 | საფრანგეთი-სერბეთი 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12074 | პორტუგალია-დანია 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12531 | პარაგვაი-ვენესუელა 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12544 | სურინამი-სალვადორი 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12546 | ზამბია-ტოგო 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12548 | ჩრდ კორეა-სამ კორეა 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12549 | უზბეკეთი-ავსტრალია 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12550 | საამიროები-ს არაბეთი 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12551 | ყატარი-ბაჰრეინი 2,5 | 1.55 | 2.00 | 6.75 |
| 12533 | ურუგვაი-ეკვადორი 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12536 | პერუ-არგენტინა 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12538 | აშშ-ტრინიდადი და ტობაგო 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12540 | მექსიკა-კანადა 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12542 | ჰონდურასი-იამაიკა 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12543 | გვატემალა-კუბა 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17047 | რუსეთი-უელსი | 1.85 | 1.95 |
| 17048 | აზერბაიჯანი-ლიხტენშტეინი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ყაზახეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ჩერნოგორია-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17055 | მოლდოვა-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | ლიტვა-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ფინეთი-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17058 | თურქეთი-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17059 | ლატვია-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | ბოსნია-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | შვედეთი-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17066 | მაკედონია-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17068 | ისლანდია-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ჩრდ ირლანდია-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | სლოვენია-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ალბანეთი-მალტა | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ხორვატია-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | საფრანგეთი-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | პორტუგალია-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17531 | პარაგვაი-ვენესუელა | 1.85 | 1.95 |
| 17544 | სურინამი-სალვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17546 | ზამბია-ტოგო | 1.85 | 1.95 |
| 17548 | ჩრდ კორეა-სამ კორეა | 1.85 | 1.95 |
| 17549 | უზბეკეთი-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |
| 17550 | საამიროები-ს არაბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17551 | ყატარი-ბაჰრეინი | 1.85 | 1.95 |
| 17533 | ურუგვაი-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |
| 17536 | პერუ-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17538 | აშშ-ტრინიდადი და ტობაგო | 1.85 | 1.95 |
| 17540 | მექსიკა-კანადა | 1.85 | 1.95 |
| 17542 | ჰონდურასი-იამაიკა | 1.85 | 1.95 |
| 17543 | გვატემალა-კუბა | 1.85 | 1.95 |
| 17545 | ჰაიტი-კოსტა რიკა | 1.85 | 1.95 |
| 17547 | ჩადი-სუდანი | 1.85 | 1.95 |

# ქალები ერთი წლით გაუქმდნენ
## კაცები დევისის თასისთვის ემზადებიან



აგვისტოს თვეში ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ძალიან ბევრ სფეროში შეუქმნა საქართველოს პრობლემა, მათ შორისაა სპორტიც. ახლა საჩოგბურთო თემას შევეხოთ. გასულ თვეს საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო გაუქმდა სექტემბერში გასამართი ქალთა ორი საერთაშორისო ტურნირი, თბილისისა და ბათუმის. ისე გამოვიდა, რომ ეს შეჯიბრებები საერთაშორისო კალენდარში მომავალ წელსღა მოხვდებიან. ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ უფრო მეტს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისგან, ლეილა მესხისგან შეიტყობთ, რომელსაც გუშინ საკუთარ საჩოგბურთო აკადემიაში შევხვდით

— წლევანდელი ტურნირების გადადება, უფრო კი ერთი წლით გაუქმება ჩვენთვის ძალიან რთული საკითხია. სამწუხაროდ, იმ მომენტში სხვა გამოსავალი არ გვქონდა.

**— რატომ არ იყო სხვა გამოსავალი?**

— ტურნირების კალენდარი ერთი წლით ადრე დგება. თბილისის და ბათუმის ქალთა ტურნირები უკვე 13-წლიან ისტორიას ითვლის, მათ საერთაშორისო საჩოგბურთო კალენდარში თავისი ადგილი აქვთ და შესაბამისად, მისი რამდენიმე კვირით გადადება წარმოუდგენელია, მაშინ კალენდარი მთლიანად აირევა. აქედან გამომდინარე, ჩვენ და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, წელს ეს ორი შეჯიბრება არ გაგვემართა.

**— კი, მაგრამ, ახლა ნამდვილად არაა ასეთი სიტუაცია შეჯიბრების გამართვა არ შეიძლებოდეს...**

— ახლა მართლაც არაა ასეთი სიტუაცია, მაგრამ ტურნირის გაუქმების შესახებ საერთაშორისო ფედერაციას ერთი თვით ადრე უნდა აცნობო, ამ სიტუაციაში ეს დრო ზუსტად დაემთხვა ცხინვალის რეგიონში ომს და საქართველოს მასშტაბურ დაბომბვებს რუსების მხრიდან. ამიტომაც მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. სხვათა შორის, როდესაც ქვეყანა ტურნირს აუქმებს, მის წინააღმდეგ სერიოზული სანქციები წესდება, ჩვენ კი პირიქით, გასამხნევებელი მხარდასაჭერი წერილი მოგვივიდა და თან დაგვიბრუნეს ის ფული, რომელსაც წინასწარ იხდის ყველა შეჯიბრების მასპინძელი ქვეყანა.

**— მომავალ წელს თბილისის და ბათუმის ტურნირები ჩვეულებრივ ჩატარდება?**

— რა თქმა უნდა, ეს ორი შეჯიბრება მხოლოდ ერთი წლით გადაიდო და იმედია, ასეთი რამ აღარ მოხდება.

**— ტურნირის ოფიციალური სპონსორები როგორ შეხვდნენ ტურნირის გაუქმებას?**

— მათ წერილი გავუგზავნეთ, სადაც ყველაფერი ავუხსენით, მადლობა გადავუხადეთ და ფული დავუბრუნეთ. სპონსორების ვინაობასაც შეგახსენებთ — კომპანია „ბორჯომი", „ავსტრიის ავიახაზები" და ბათუმის ნავთობკომპანია.

**— უახლოეს პერიოდში რა გეგმები გაქვთ? ნელ-ნელა წელი მთავრდება და საჩოგბურთო სეზონიც დასასრულისკენ მიდის...**

— ამ პარასკევს, შაბათსა და კვირას ჩატარდება ტურნირი მოყვარულთა შორის „რაკინის" თასზე. ეს შეჯიბრება უკვე ტრადიციულია და მას გაუქმებას არც კი განვიხილავდით. მას წინა წლების მსგავსად ჩემი საჩოგბურთო აკადემიის კორტები უმასპინძლებს.

**— სულ მალე საქართველოს ნაკრებს ბელარუსიის ნაკრებთან მოუწევს დაპირისპირება „დევისის თასზე", რათა პირველ ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ, რა ხდება ამ მხრივ?**

— დავიწყებ იმით, რომ მართლა ძლიერ გუნდთან მოგვიწევს თამაში, თანაც გასვლაზე მინსკში უნდა ჩავიდეთ, ეს დამატებითი პლუსია მეტოქისთვის, მაგრამ ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრები აუცილებლად გამარჯვებისათვის იბრძოლებს.

**— როგორი იქნება შემადგენლობა და ვინ მოამზადებს მას?**

— გუნდის კაპიტანი ვლადიმერ გაბრიჩიძე იქნება, მწვრთნელი კი ვიქტორ ბაკში. რაც შეეხება შემადგენლობას საქართველოს ღირსებას ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, ნოდარ ითონიშვილი და გიორგი ხრიკაძე დაიცავენ.

**— მოგების რამდენად კარგი შანსი გვაქვს?**

— ადვილი არ იქნება, მაგრამ არც შეუძლებელი. უნდა მოვახერხოთ, რომ პირველ ლიგაში ორი წლის მანძილზე შენარჩუნებული ადგილი დავიკავოთ. კარგი ნაკრები გვყავს, ირაკლი ლაბაძემ ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო ფორმის აღდგენა, სულ ცოტა ხნის წინ უკრაინული ტურნირის მეოთხედფინალშიც იყო. ლადო ჩიხლაძეს ერთეულებში ძალიან გაუჭირდება, რადგან ტრავმამ სერიოზულად დახია უკან, ახლა მისი იმედი უპირველეს ყოვლისა წყვილებში გვაქვს, სადაც კლასის ხარჯზე უნდა ითამაშოს. მინსკში ჩასვლამდე ლადო ერთ საერთაშორისო ტურნირში აუცილებლად ითამაშებს, რათა ფორმაში შევიდეს.

**— დაბოლოს, წელს საქართველოს ჩემპიონატი როდის გაიმართება?**

— ოქტომბერში ჩატარდება და ლაბაძისა და ჩიხლაძის გარდა ალბათ ყველა უძლიერესი ჩოგანი მიიღებს მონაწილეობას. სპონსორი ისევ და ისევ „რაკინი" იქნება, რომელიც საპრიზო ფონდსაც აწესებს.

**გიორგი არაბული**



ლეილა მესხს დევისის თასზე ყველაზე მეტად ირაკლი ლაბაძის ეიმედება



QUARTZITE



# ქართული ლეგიონის ფრანგული ამბები

**ქართული** რაგბის ბოლოდროინდელი წარმატების ერთ-ერთი საფუძველი ქართველი მორაგბეების ფრანგულ კლუბებში გადინება და მათი საუკეთესო ნაწილის ელიტარულ გუნდებში უმაღლესი დონის რაგბისთან თანაზიარობაა.

სამწუხაროდ, ჩვენში სარაგბო ინფრასტრუქტურის საკმაოდ დაბალი დონის გამო, ფრანგული ლეგიონი ქართული რაგბის განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთ საფუძვლად რჩება. უცხოელთა მიძალება თვით ფრანგებისთვის კი პრობლემად ქცეულა — ტოპ14-ში ანუ ელიტარულ დივიზიონში შარშან 185 ლეგიონერი თამაშობდა, წელს კი მათი რიცხვი 227-მდე გაიზარდა. უცხოელთა შორის ყველაზე ბევრი 48, სამხრეთაფრიკელია, მერე მოდიან არგენტინელები, იტალიელები, რუმინელები, ოკიანეთის კუნძულელები, ქართველები. ეთნიკურ მრავალფეროვნებაში ბადალი არ ყავს გია ლაბაძის „ტულონს", ხოლო „უცხოური დესანტით" ყველაზე გაჯერებული გუნდი „ბრივია", სადაც 24 ლეგიონერი ირიცხება. არაფრანგთაგან უმეტესობა შერკინების მოთამაშეა, 43 კი ბურჯია და ამ ფაქტის გამო ფრანგებს საფიქრალი გასჩენიათ და სამართლიანადაც ჩივიან, რომ ამ ამპლუის ფრანგი ტალანტები გვეკარგებიანო.

ტოპ14-ში გასულ უქმეებზე, მესამე ტურის მატჩები გაიმართა. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მატჩი შარშანდელი ვიცე-ჩემპიონის „კლერმონსა" და ბასკურ „ბაიონს" შორის. კოკისპირულ წვიმაში, კლერმონელმა „ვულკანებმა" ვერაფერი დააკლეს მასპინძლებს, ამინდი თამაშის გაშლის შანსს არ იძლეოდა, დახურულ თამაშში და ბულრაობაში კი ბასკები ყოჩაღობდნენ. მატჩის ერთადერთი ლელო, საფინალო სასტვენამდე რამოდენიმე წუთით ადრე დაიდო, მშვენიერი მრავალპასიანი კომბინაციის შემდეგ, თუმცა ამ პასთაგან ბოლოსწინა ერთ მეტრით წინ იყო. არბიტრმა მასპინძელთა სასარგებლოდ თვალი დახუჭა და საბოლოო ანგარიში 17:6 დააფიქსირა. „კლერმონის" შემადგენლობაში 65 წუთი ირაგბა დავით ზირაქაშვილმა.

მონტობანი - ბურგუნის დაპირისპირებაში ორმოცდამეოთხე წუთზე შეცვალეს გოდერძი შველიძე, რომელიც ამ სეზონიდან „მონტობანის" ღირსებას იცავს, შარშან კი დათო ზირაქაშვილს უმაგრებდა მხარს. აღსანიშნავია რომ „კლერმონი" შველიძესთან ერთად მსოფლიო ჩემპიონთა კაპიტანმა, სამხრეთაფრიკელმა ჟოან სმიტმაც დატოვა. ბურგუნდიელებმა მატჩის მიწურულს ლელო გაიტანეს, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ეჯობნა მონტობანელთა პივოტის მონაგარისთვის, ფაბიენ ფორთესინის ხუთი ჯარიმა და ერთი არეკნი სტუმართა ორ გარდასახულ ლელოზე მეტი აღმოჩნდა.

ფრეზე გაიყარნენ აქვსენტი გიორგაძის „კასტრი" და დავით ხინჩაგაშვილის „ბრივი". მათ საშინელ ავდარში მოუწიათ თამაში. პირველი ნახევარი სტუმრებმა მოიგეს კაპო ორტეგას ლელოს წყალობით, რომელიც სამოელი მეორეხაზელის იოსეფა ტეკორაის ეფექტური რეიდის მარტივი და ლამაზი დაბოლოვება გახლდათ. არანაკლები იყო კასტრელთა ათი ნომრის, ანტონი ლაგერდიარის ორმოცმეტრიანი სოლო-რეიდი, რომელიც ლელოდ თვითონვე მან აქცია. დავით ხინჩაგაშვილმა მატჩი თავიდან ბოლომდე ითამაშა, აქვსენტი გიორგაძე კი „კასტრის" შემადგენლობაში 63 წუთიდან გამოჩნდა. მატჩის მიწურულს, როდესაც „კასტრი" 16:9 იგებდა, კაცნაკლულ სტუმრებს ფიჯელმა ლიგაირიმ ლელო გაუტანა, რომლის გარდასხვა დამრტყმელს არ გასჭირვებია.

სამი წაგებით, შარშანდელი სეზონის მსგავსად აუტსაიდერია ირაკლი გიორგაძის „დაქსი", რომელმაც მამუკა გორგოძის „მონპელიესთან" საშინაო მატჩი 6:9 დათმო. მატჩში ქართველ მოთამაშეებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ასევე არ უთამაშია, გია ლაბაძეს გასვლით მატჩში „მონ დე მარსანთან", სადაც ტანა უმაგას ვარსკვლავური გუნდი სამ მატჩში მეორედ დამარცხდა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B დივიზიონი. II წრე. 10 სექტემბერი. დუბლინი

## ირლანდია — საქართველო

# ფეხბურთელების გაუკეთებელი კალათბურთელების გასაკეთებელია

## ვლადიმერ ბოისამ ოცნება აისრულა




დღეს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის, B დივიზიონის მეორე მატჩს სტუმრად ირლანდიასთან გამართავს. ჩვენებმა პირველ მატჩში ლუქსემბურგი გაანადგურეს და ელიტისკენ მიმავალი გზა მოგებით დაიწყეს. ირლანდია — საქართველო ჩვენი დროით 22.30 საათზე დაიწყება, იქამდე კი გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.gbf.ge-ზე გამოქვეყნდა...

ეროვნული გუნდის შეკრებაზე რომ ჩამოვიდა, ვლადიმერ ბოისა უგუნდოდ იყო და თავისი საკლუბო საქმეები მოგვიანებით მოაგვარა. თან ეს ისე გააკეთა, რომ საქართველოს ნაკრების ინტერესები გაითვალისწინა და მხოლოდ ორიოდ დღით გამოაკლდა ჩვენებს, როცა მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს დაეთხოვა და თავის ახალ კლუბ ესპანურ „მენორკასთან" კონტრაქტის გასაფორმებლად წავიდა. ბოისა ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველოს რაგინდარა ასაკის ნაკრებში და ის ახლაც ერთ-ერთი გამნევი ძალაა ჩვენი ეროვნული გუნდისა — მერე რა, რომ ის ხუთეულში თამაშს არ იწყებს. ბოისა ყოველ მატჩში სათადარიგოთა სკამიდან შედის მოედანზე და თავის საკეთებელს პირნათლად აკეთებს. ბოისა დღესაც გავა მოედანზე და დუბლინურ ფიცარნაგზე ირლანდიელებს არაფერს დაუთმობს...

**— როგორი განწყობაა გუნდში ირლანდიაში გამგზავრებამდე?**

— საუკეთესო განწყობაა. ამის საფუძველს გუნდში არსებული ატმოსფეროც იძლევა და ლუქსემბურგში ჩატარებული პირველი ევროსაკვალიფიკაციო მატჩიც.

**— მოდი, გაიხსენე ეგ შეხვედრა. რა იყო ყველაზე დადებითი მომენტი?**

— რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი ის იყო, რომ გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ ამაში არავის არ ეპარებოდა ეჭვი. ლუქსემბურგი უნდა დაგვემარცხებინა და ეს მოვახერხეთ კიდეც, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო ის განწყობა იყო, რომლითაც ამ მატჩს შევხვდით. მანამდე ჩვენ შვიდი მოსამზადებელი შეხვედრა გავმართეთ და ყველა სერიოზულ გუნდებთან. ლუქსემბურგი ვერც ერთთან ახლოსაც ვერ ვერ მივა და ასეთ სუსტ მეტოქესთან რომ სრული მობილიზებით ვითამაშეთ, ეს იყო უმნიშვნელოვანესი. თუკი ლუქსემბურგთან მაქსიმალურად დამუხტული გადიხარ მოედანზე, მაშინ ძლიერ გუნდებთან უფრო მეტად იქნები მოტივირებული.

**— უშუალოდ სათამაშო დეტალებზე რას იტყვი?**

— ლუქსემბურგმა ძალიან ჭკვიანურად ითამაშა. რაც მათ შესაძლებლობებში იყო, ყველაფერი გონივრულად გამოიყენეს. დაბალი, მობილური გუნდია და სწრაფი კონტრშეტევების განხორციელებას ცდილობდა, რასაც შორ სროლებს უნაცვლებდა და თავიდან, 2-3 წუთი ტოლსწორად გვეთამაშა. მერე კი, როცა ადაპტაცია გავიარეთ, ჩვენი ჯერით დადგა. მათ შანსი არ ჰქონიათ და ეს საბოლოო ანგარიშიდანაც გამოჩნდა. მასპინძლებმა 65 ქულა მოაგროვეს, რაც ცოტა ბევრი კია, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ გუნდს მეშვიდეთ ვეთამაშებოდით და ასე ბევრი, 98 ქულა არასდროს ჩაგვიგდია.

**— ლუქსემბურგამდე ხანგრძლივი შეკრება გაიარეთ და ამხანაგური მატჩებიც გამართეთ. ამაზე რას იტყვი?**

— მართლაც, უკვე საკმაო ხანია, ერთად ვართ და ეს გუნდზე ძალიან კარგად აისახა. შევთამაშდით, გუნდური სული ჩამოგვიყალიბდა. ცუდი მომენტი მხოლოდ ის იყო, რომ თბილისიდან გამომგზავრებამდე 3 დღე ჩაგვივარდა. ომის გამო ვერ ვვარჯიშობდით და მერე მოულოდნელად მოგვიხდა უკრაინაში გამგზავრება. ჯერ ვიცოდით, რომ რეისები არ იყო, მერე კი უცებ შეგვკრიბეს და გუნდი კიევში გამთენიისას გაემგზავრა. თუმცა, ეს დღეები იმ შეკრებამ ორმაგად აანაზღაურა, რომელიც ავსტრიაში დაუგეგმავად გავიარეთ. თავდაპირველად ხომ თბილისში უნდა გვეთამაშა 2 მატჩი, მაგრამ როცა, ომის გამო მოწინააღმდეგე მოედანზე გადაიტანეს, თბილისში აღარ დავბრუნდით და ის 5-6 დღე ავსტრიაში, საკმაოდ მაღალი დონის, ყველანაირად კომფორტულ საწვრთნელ ბაზაზე გავატარეთ. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ მართლაც კარგი ვარიანტი გამონახა, ასეთი პირობები თბილისში ნამდვილად არ გვექნებოდა. ავსტრიაში ერთ კომპლექსში ვცხოვრობდით, სხვა საქმე არ გვქონდა გარდა ვარჯიშისა და განტვირთვისა. ერთი სიტყვით, ძალიან სასარგებლო შეკრება გამოგვივიდა და სპარინგ-პარტნიორებიც ღირსეულები გვყავდა.

**— რომელ სპარინგ-მატჩს გამოარჩევდით?**

— ლატვიასთან რიგაში ისეთი მატჩი მოვიგეთ, რასაც ქართველი გულშემატკივრების გარდა ალბათ არავინ ელოდა. უკრაინასთან ორივე შეხვედრაც ძალიან კარგად ვითამაშეთ. საფრანგეთთან კი ბოლომდე ვიბრძოლეთ და ბოლო მეოთხედში პირადად ტონი პარკერთან წავაგეთ. მისი იმიჯი იმდენად დიდია, რომ ჩვენები ფსიქოლოგიურად დაითრგუნენ.

**— ავსტრიასთან რაღა მოხდა?**

— ვფიქრობ, ეს კარგი გაკვეთილი იყო. ჩეხეთისა და ლატვიის დამარცხების შემდეგ ავსტრიელებთან თავაწეულებმა ვითამაშეთ და დავისაჯეთ კიდეც. ეს კარგი მაგალითია იმისა, რომ ნებისმიერ მეტოქესთან მობილიზებული უნდა გახვიდე. ლუქსემბურგთან ამ გუნდის აუტსაიდერობამ ვერაფერი დაგვაკლო და იმედია, ასე იქნება მომავალ მატჩებშიც, თუმც უკვე ყველა მეტოქე სერიოზულია.

**— რას ფიქრობ მომავალ მატჩებზე?**

— არ მინდა ტრაბახში ჩამეთვალოს, მაგრამ ჩემი აზრით საქართველოს ნაკრები ჯგუფში ყველა მეტოქეზე ძლიერია როგორც შემადგენლობით, ისე ფიზიკურად და შეთამაშებულობის მხრივ. მთავარი ახლა ისაა, რომ ამან ფსიქოლოგიურად უარყოფითად არ იმოქმედოს, თუმცა არა მგონია, ეს მოხდეს. 10 სექტემბერს ირლანდიას ვხვდებით, მერე ოდნავ ძლიერ სლოვაკეთს, შემდეგ კიდევ უფრო მძლავრ შვედეთს და ესეთი კალენდარი ჩვენთვის ხელსაყრელია. ანუ ნელ-ნელა ძლიერდება მეტოქე და ჩვენც თანდათან ვაუმჯობესებთ თამაშს. თუმცა ახლა მხოლოდ ირლანდიაზე ვართ კონცენტრირებულნი და ყველაფერს ვაკეთებთ ამ შეხვედრის მოსაგებად.

**— იმაზე რას იტყვი, რომ განვლილ მატჩებში ჩვენს გუნდში ხან ვინ ხდებოდა ბომბარდირი და ხან ვინ? ანუ გუნდს აღარ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი...**

— ეს ძალიან კარგი მომენტია, რადგან პირად ინტერესებზე წინ ყველას გუნდის ინტერესები აქვს დაყენებული. მე რომ 30 ქულა ჩავაგდო ყოველ მეორე მატჩში, ეს ჩემს საკლუბო იმიჯზე ნაკლებად იმოქმედებს. მე, ზაზა ფაჩულიას, ტაირონ ელისს და ჩვენი ნაკრების არაერთ წევრს უკვე ნაპოვნი აქვთ თავისი ადგილი საკლუბო კალათბურთში და რაც არ უნდა ქნან ნაკრებში, ეს მათ ბევრს ვერაფერს შემატებს. როცა საქართველოს ნაკრებიდან ჩემს გუნდ „სიენაში" ვბრუნდებოდი, იმასაც კი არ მეკითხებოდნენ, მოვიგეთ თუ წავაგეთ — არათუ ჩემი პირადი მონაგარით დაინტერესებულიყვნენ. ჰოდა, ახლა ყველამ იცის, რომ პირველ რიგში გუნდის გამარჯვებაა მთავარი და თავად 30 ქულას გააკეთებს თუ ერთს, ნაკლებად ადარდებს. ამ განწყობით ვითამაშეთ ყველა აქამდელი შეხვედრა და იმედი მაქვს, ასე იქნება დარჩენილ მატჩებშიც.

**— კლუბიახსენე და მოდი შენს ახალ გუნდზეც გვითხარი ორიოდე სიტყვა...**

— ესპანეთის პრიმერადივიზიონში თამაში ჩემი ოცნება იყო ყოველთვის. ეს ლიგა ევროპაში უძლიერესად ითვლება და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ „მენორკაში" გადავედი. არის მეორე მომენტიც: „მენორკაში" ჩემი ძველი გუნდელები თამაშობენ. მარინო ბაზდარიჩთან და მარიო ოსტოიჩთან ერთად სლოვენიურ „ოლიმპიაში" ვიყავი, ხოლო ვრბიცა სტეფანოვთან იტალიურ „სიენაში" მითამაშია. ყველა ამ კალათბურთელთან ძალიან ახლოს ვარ და ჩვენი მეუღლეებიც მეგობრობენ ერთმანეთთან. ერთი სიტყვით, ესპანეთში გადასვლა ჩემთვის იდეალური ვარიანტი იყო. „მენორკამ" 1+1 წლიანი კონტრაქტი გამიფორმა. იქ სექტემბრის მეორე ნახევარში მელიან და ძალიან გამეხარდება, თუკი ნაკრების წარმატებებით გულგახარებული შევუერთდები ჩემს ახალ გუნდს.



## რუსუდან ხოფერიას ჰო და არა

**გუშინწინ** ტანვარჯიშის ფედერაციაში გამგეობის სხდომა გაიმართა და გადაწყდა, რომ ტანვარჯიშის ფედერაციის არჩევნები 15 ოქტომბერს ჩატარდება. მოგეხსენებათ, ამ დრომდე პრეზიდენტის მოვალეობას რუსუდან ხოფერია ასრულებს.

ორშაბათს კიდევ ერთი სხდომა ჩატარდება და დეტალებიც დაზუსტდება, თუ როგორი პრინციპით უნდა ჩატარდეს არჩევნები. თავად რუსუდან ხოფერიამ კი გუშინ ეს გვითხრა: „ორშაბათს უკვე ყველა დეტალი გვეცოდინება. სპორტის დეპარტამენტს ვთხოვეთ, რომ დარბაზი დაგვითმოს, სადაც არჩევნებს ჩავატარებთ. ბუნებრივია, რომ ჯერ კანდიდატებიც არ არიან ცნობილნი. რაც მე შემეხება, ვნახოთ, საკუთარ კანდიდატურას წამოვაყენებ თუ არა, ამას დრო გამოაჩენს. თუ ისეთი ადამიანი გამოჩნდა, ვინც ფედერაციას ფინანსურად დაეხმარება, მაშინ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ვიტყვი. ისე, ალბათ კენჭს ვიყრი, ვნახოთ..."

**ნიკა ძოწაძე**



## დაბოლილი რუსები ვართ...

**იაპონიის** პროფესიონალური სუმოს ასოციაციის საბჭომ რუს სუმოისტ ძმებს სოსლან და ბატრაძ ბორაძოვებს მარიხუანას ქაჩვისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

ეს გადაწყვეტილება იაპონიის სუმოს მამებმა საგანგებო სხდომაზე მიიღეს. გადაწყვეტილებას კი საფუძვლად ანტიდოპინგური ორგანიზაციის WADA-ს აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიის, „მიცუბიში კემიკალის" დასკვნა დაედო. აღნიშნულმა ორგანიზაციამ რუსი ძმები ნარკოტიკების მოხმარებაში ოფიციალურად ამხილა.

ბოროძოვები განაგრძობენ მტკიცებას, მარიხუანა არ მოგვიწევია და „მიცუბიში კემიკალის" დასკვნა სინჯების აღების პროცედურისას დაშვებული შეცდომების ბრალიაო. გამორიცხული არ არის, რომ თავიანთი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ბოროძოვებმა სასამართლოს მიმართონ.

სათქმელია კიდევ ერთი ფაქტი — თანამდებობა დატოვა პროფესიონალური სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავჯდომარემ ოიაკატა კიტანოუმიმ, რომელიც ბატრაძ ბოროძოვის აღმზრდელი და დამკვალიანებელი გახლდათ.

შეგახსენებთ, რომ ბატრაძ ბოროძოვი მაკუჩი დივიზიონში როჰოს სახელით ჭიდაობდა, ხოლო სოსლან ბოროძოვი ჯუროს დივიზიონში ჰაკუროზანის სახელით ასპარეზობდა.

**ზურაბ მიგრიაული**

US OPEN 2008. ჰარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

# სეზონი გადარჩენილია

## როჯერმა ცუდად დაწყებული გადასარევად დაასრულა



როჯერ ფედერერს წლევანდელს კრიტიკა ნამდვილად არ მოჰკლებია. სეზონის დასაწყისიდან შვეიცარიელზე რას აღარ წერდნენ — ძველებურად ვეღარ თამაშობსო, როჯერის დრო წავიდაო, დაუმარცხებლობის აურა გაუქრაო, ფსიქოლოგური პრობლემები აქვსო და ასე შემდეგ. თან ეს მხოლოდ მცირე და ამასთანავე ყველაზე კორექტული ჩამონათვალია იქიდან, რაც წლევანდელს ბრალად წაუყენეს ფედერერს.

და ეს ყველაფერი იმის მიუხედავად, რომ მან ყველა დიდი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაათამაშა — ავსტრალიის ღია პირველობაზე ნახევარფინალში იყო და მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა, „როლან გაროსსა" და უიმბლდონზე კი სულაც სატიტულო მატჩებში ითამაშა. ინგლისში წაგება მაინც ცალკეა გამოსარჩევი, სადაც ალპელმა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩად შერაცხული ეპიკური ფინალი დათმო რაფაელ ნადალთან.

„მხიარული როჯერის" ყოფა საერთოდ აუტანელი გახდა მას შემდეგ, რაც ერთი თვის წინ მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი დაკარგა. ფედერერს არც მაშინ მოეშვნენ, როცა პეკინური ოქრო მოიგო — მართალია, წყვილებში, მაგრამ ოქროა ოქროა და მას კბილს არ უსინჯავენ.

საინტერესოა, ამ ყველაფრის გადატანა თავად ფედერერს რამდენად გაუჭირდა?

„იოლი გასაძლები ნამდვილად არ იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სხვადასხვა გიჟმა რეკვით ამიკლო — არიქა, დახმარება გჭირდება და ამიტომ გვერდზე დაგიდგებიო. შეიძლება, თქვენთვის ეს სასაცილოც იყოს, მაგრამ ხალხი ხან აქ გამოხტებოდა, ხან იქ და მესაუბრებოდა, რა უნდა გამეკეთებინა. თავის ტკივილი იყო და მეტი არაფერი" — განდო ჟურნალისტებს ფედერერმა.

თუმც დღეიდან შვეიცარიელმა შეიძლება ცოტა შვება იგრძნოს — აშშ-ს ღია პირველობის ბრწყინვალე სტილში მოგებით ალპელმა ყველა ჯიშისა და რჯულის ჟურნალისტს, სპეციალისტსა თუ უბრალო გულშემატკივარს დაუმტკიცა, რომ ისევ თავისუფლად ხელეწიფება უმაღლეს დონეზე თამაში და უახლოეს წლებში კვლავ ფავორიტთა მარაქაში იქნება.

„ფლეშინგ მედოუზზე" გამარჯვებით ფედერერმა არცთუ სახარბიელოდ მიმდინარე სეზონს მაინც საზეიმო ელფერი გადაჰკრა.

„ვიცოდი, რომ თუნდაც ერთი სლემტიტულის მოგებით, განსაკუთრებით თუ ეს წლის ბოლო დიდი შეჯიბრი იქნებოდა, სეზონს გადავარჩენდი. ჩემი აზრით არც აქამდე მითამაშია ცუდად, მაგრამ იმედი მაქვს, ამ გამარჯვების შემდეგ ყველა მომეშვება და აღარ წამომაყვედრებს, 2008 წელს ამაზრზენად ჩოგნაობდიო" — ამბობდა ნამატჩევს დიადი ალპელი.

უშუალოდ ფინალი კი არცთუ საინტერესო გამოდგა, რადგანაც ფედერერმა პირწმინდად დაჩაგრა ენდი მიურეი და აქამდე დიდებულად მოთამაშე შოტლანდიელს მასტერ-კლასი ჩაუტარა. მიუხედავად იმისა, რომ ენდის აქამდე კარგად გამოსდიოდა როჯერთან თამაში და პირად შეხვედრებში 2:1-ც მიჰყავდა, გუშინ არაფერი გამოუვიდა — უბრალოდ, შვეიცარიელს უფრო მეტად უნდოდა ეს გამარჯვება და მის ამ ლტოლვას შოტლანდიელმა ვერაფერი დაუპირისპირა.

სწორედ ამიტომ, მიურეისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ყველასთვის და უპირველესად მაყურებლისთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ფინალში რაფაელ ნადალის ხილვა. კი, ბატონო, ნახევარფინალში შოტლანდიელმა აშკარად დაჩაგრა ესპანელი, მაგრამ გუშინ კორტზე რაფა რომ მდგარიყო, მაინც სულ სხვა დონისა და კალიბრის სანახაობას ვიხილავდით. როგორც აღმოჩნდა, ფედერერთან ტოლ-სწორად სათამაშოდ მიურეი, უბრალოდ, მენტალურად არ აღმოჩნდა მზად, რისი პრობლემაც ესპანელს ნამდვილად არ ექნებოდა.

მაგრამ შევეშვათ მარჩიელობას და იმაზე ლაპარაკს, რა იქნებოდა, ეს რომ ასე ანაც ისე მომხდარიყო. ისევ ფედერერს მივუბრუნდეთ, რომლისთვისაც ეს კარიერაში მოგებული მე-13 სლემტიტული გახლდათ და შვეიცარიელიც ერთითღა ჩამორჩება ყველა დროის რეკორდსმენ პიტ სამპრასს. გარდა ამისა, როჯერმა ზედიზედ მეხუთედ იჩემპიონა „ფლეშინ მედოუზზე" და ამით 1920-იან წლებში ბილ ტილდენის მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა. ყველაფერთან ერთად, ალპელი ერთადერთი მეჩოგნეა ისტორიაში, რომელმაც კარიერიაში ორი სხვადასხვა სლემტიტულის მოგება ზედიზედ ხუთჯერ შეძლო.

ჰოდა, ყველაფერ ამის ფონზე ფედერერს სუფთა სინდისით შეუძლია თქვას, რომ:

„მთლიანობაში ეს წელიწადი არც ისე ცუდი გამოდგა."

თქვენ რაღას იტყვით?

**ტაბა ლომაშვილი**

**როჯერ ფედერერი**

დაიბადა 1981 წლის 8 აგვისტოს ბაზელში (შვეიცარია). შვეიცარიის მოქალაქე, ცხოვრობს ობერვილში (შვეიცარია). სიმაღლე 185 სმ, წონა 85 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. მოპოვებული აქვს ერთეულთა 56 (აქედან 13 დიდი სლემის — ავსტრალიის ღია პირველობა — 2004, 2006, 2007, უიმბლდონი — 2003-07, აშშ-ს ღია პირველობა — 2004-08) და წყვილთა 1 ტიტული. ჩატარებული 751 მატჩიდან 605 მოიგო და 146 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 43 138 419 დოლარი. უმაღლესი ადგილი რეიტინგში — 1 (პირველად 2004 წლის 2 თებერვალს).

ფედერერი US OPEN 2008-ზე

I წრე: ფედერერი — მაქსიმო გონსალესი (არგენტინა)6:3 6:0 6:3

II წრე: ფედერერი — ტიაგო ალვეში (ბრაზილია)6:3 7:5 6:4

III წრე: ფედერერი — რადეკ შტეპანეკი (28, ჩეხეთი)6:3 6:3 6:2

IV წრე: ფედერერი — იგორ ანდრეევი (რუსეთი)6:7 7:6 6:3 3:6 6:3

1/4 ფინალი: ფედერერი — ჟილ მიულერი (ლუქსემბრუგი)7:6 6:4 7:6

1/2 ფინალი: ფედერერი — ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) 6:3 5:7 7:5 6:2

ფინალი: ფედერერი — ენდი მიურეი (6, ბრიტანეთი)6:2 7:5 6:2

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 7 000 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5930 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4855 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 3040 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2990 |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2400 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1975 |
| 8. ენდი როდიკი (აშშ) | 1845 |
| 9. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1760 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1670 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1650 |
| 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1565 |
| 13. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1518 |
| 14. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1475 |
| 15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1440 |
| 16. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1435 |
| 17. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1390 |
| 18. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1305 |
| 19. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1265 |
| 20. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1260 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1265 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 921 |
| 3. ნოვან ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 875 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 520 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 417 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 337 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 309 |
| 9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 286 |
| 10. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 272 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 266 |
| 12. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 253 |
| 13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 253 |
| 14. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 239 |
| 15. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 236 |
| 16. მარდი ფიში (აშშ) | 226 |
| 17. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 218 |
| 18. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 215 |
| 19. მარინ ჩილიჩი (ხორვატია) | 205 |
| 20. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 202 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 4091 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3965 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3532 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3430 |
| 5. დინარა საფინა (რუსეთი) | 3337 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3041 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2571 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2386 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2087 |
| 10. ანგეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2076 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1847 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1782 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1702 |
| 14. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1635 |
| 15. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1543 |
| 16. ფლავია პენეტა (იტალია) | 1525 |
| 17. კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 1483 |
| 18. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1384 |
| 19. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1299 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1232 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 3680 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3670 |
| 3. დინარა საფინა (რუსეთი) | 3123 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2881 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2855 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2106 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2022 |
| 9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1945 |
| 10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1795 |
| 11. კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 1438 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1389 |
| 13. ფლავია პენეტა (იტალია) | 1353 |
| 14. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1331 |
| 15. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1312 |
| 16. ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) | 1286 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1226 |
| 18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1171 |
| 19. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1108 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1009 |

# ჭოკით ხტომა ბრანდენბურგის კარიბჭეზე



**რაკი** პეკინის ოლიმპიადა უკვე წარსულია, მომავლისაკენ მაცქერლები მას თანდათან ივიწყებენ და შემდეგ დიდ ტურნირს ინიშნავენ გონებაში. ასეთად კი მსოფლიოს ჩემპიონატი ითვლება, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (კენტ წლებში) ტარდება და მომავალი წლის 15-23 აგვისტოს მას გერმანიის დედაქალაქი ბერლინი უმასპინძლებს.

ბერლინელებმა უკვე დაიწყეს მზადება. თავად სარბიელს, ბერლინის ოლიმპიურ სტადიონს რა მომზადება უნდა, ორი წლის წინ საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი მიიღო. იქ ყველაფერი მზადაა, მხოლოდ ბილეთების გაყიდვის საკითხია მოსაგვარებელი და უკვე დაიწყო კიდეც — სადღეისოდ ინტერნეტის საშუალებით უკვე 150 000 ბილეთია გასაღებული. სოლიდური რაოდენობაა, მით უფრო, ტურნირის დაწყებიდან ერთი წლით ადრე. ორგანიზატორები მხოლოდ იოცნებებენ პეკინში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე — ოლიმპიადაზე სამძლეოსნო ბატალიებს 10 დღეში 1,2 მილიონმა ადამიანმა უყურა.

დაიწყო ბერლინის მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური „პიარიც“. დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, ზედ ბრანდენბურგის უცნობილესი კარიბჭის წინ, მოაწყვეს გასარბენი ბილიკი, გადასახტომი ხარიხა (ცხადია, ქვეშ არც ფაფუკი ლეიბების დაფენა დავიწყებიათ) და ასე, შუაგულ ქალაქში გამართეს ჭოკით ხტომის შეჯიბრი კაცებში. იქ არ ყოფილან კაცთა ჭოკის ასები — ავსტრალიელი ოლიმპიური ჩემპიონი ჰუკერი, რუსი ვიცე-ჩემპიონი ლუკიანენკო და სეზონის საუკეთესო შედეგის მქონე ამერიკელი უოლკერი, ასე რომ, ტურნირი ცოტა დაბალი დონის გამოვიდა (5,85-მეტრიანი ნახტომით იმარჯვა ამერიკელმა დერეკ მაილზმა), მაგრამ გამვლელ-გამომვლელი კი ბლომად შემოიკრიბა და რეკლამაც კარგი გამოვიდა.

# მინისტრს ლაკის ფეხსაცმელი შეულახეს

**იამაიკის** დედაქალაქ კინგსტონში თქეში მოდიოდა და ძლიერი ქარი ქროდა. ამ კუნძულ-მარგალიტს, ისევე როგორც მთლიანად კარიბის ზღვის აუზს და მერე ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჰანად წოდებულმა საშინელმა ქარიშხალმა სულ ახლახან გადაუარა და იმ ადგილებში ტაროსი ჯერაც არ დამშვიდებულა.

იმას ვამბობდით, ცუდი ამინდი იყოო, მაგრამ კინგსტონის აეროპორტში მაინც ზღვა ხალხი შეკრებილიყო. შენობაში რომ ვერ დაეტივნენ, გარეთ შეჯარდნენ და გზის პირას გამწკრივდნენ. ცხოვრებითა და ბალახბულახით ჯანდამწვარი ბობ მარლი მკვდრეთით არ აღმდგარა და არც ვინმე სხვა პოპმომღერალი ჩადიოდა. ქალაქი სრულიად ჯანმრთელ ადამიანს, სპორტსმენსა და გმირს ეგებებოდა — უსაინ ბოლტი შინ ბრუნდებოდა.

პეკინის ოლიმპიადამდე ბოლტი უბრალოდ კარგი სპორტსმენი იყო, პეკინის შემდეგ კი ნამდვილი გმირი გახდა. მოკლედ, გავიხსენოთ მისი გმირობანი. 100 მეტრზე სირბილში ბოლტმა 9,69-წამიანი შედეგი სულ იოლად აჩვენა და წლეულს ნიუ იორკში დამყარებული თავისივე მსოფლიო რეკორდი 0,03 წამით გააუმჯობესა. შემდეგ მთელი სერიოზულობა მოიკრიბა და 200 მეტრი 19,30 წამში ირბინა, რითაც 0,02 წამი მოაკლო 1996 წელს დამყარებულ მაიკლ ჯონსონის ზღაპრულ რეკორდს, რომელსაც აგერ, რამდენი წელი ახლოსაც ვერავინ ეკარებოდა. სულ ბოლოს კი (თან მაშინ შეუსრულდა 22 წელი) ბოლტმა და კიდევ სამმა იამაიკელმა 4X100 მეტრზე ესტაფეტა 37,10 წამში ირბინეს და 15 წლის წინანდელი რეკორდი ჩამოართვეს ამერიკელებს...

ოლიმპიადის შემდეგ ბოლტმა კიდევ ცოტა გაიარ-გამოიარა ევროპაში, ბრიუსელში ოქროს ლიგის ეტაპზე 9,77 შედეგით მოიწონა თავი და შინისკენ მერელა გასწია საკუთარი თავის წინაშე სრულიად ვალმოხდილმა. ლონდონიდან კინგსტონის აეროპორტში ჩაფრენილს ათასობით თანამემამულე დახვდა. ბრბო ისე იყო აღგზნებული მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის მოლოდინში, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბრიუს გოლდინგიც კი ჯგლერთაში მოაყოლეს და გაპრიალებული ლაკის ფეხსაცმელიც შეულახეს.

ბოლოს და ბოლოს აეროპორტიდან გამოსულ უსაინს ხასხასა წითელი BMW დახვდა და ნიუ კინგსტონის ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში გააქანა. იქ საზეიმო ბანკეტი იყო დანიშნული ღია ცის და მუქი პალმების ქვეშ, მაგრამ ღვინისძიება ცუდი ამინდის გამო ორი საათით გადაიდო. ოფიციალური პირებთან ამ საზეიმო შეხვედრაზე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახეხილი ჯინსებითა და უფალი ჟაკ როგის მიერ აგრერიგ დაწუნებული თავისუფალი მოხვრამოხვრით წარდგა. მის სიტყვაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზა იყო — „მიხარია, ახლა შინ ვარ.“

ოფიციალური კინგსტონი სხვა ოლიმპიელების საზეიმო დახვედრასაც გეგმავს 3 ოქტომბერს, როცა სამძლეოსნო სეზონი დასრულებული იქნება და პეკინის ყველა გმირი მშობლიურ კუნძულზე შეიკრიბება.

**ირაკლი ფირაშვილი**



la vuelta'08

## 63-ე ლა ვუელტა ესპანა



საფინიშო სპურტი

# ახალი დღე ახალი კაცით

**მეტი** რომ არ შეიძლება, ისე საინტერესოდ ვითარდება მოვლენები სეზონის უკანასკნელ გრანდტურზე. დღე არ გადაგორდება ისე, რაიმე უცნაური რომ არ მოხდეს და რაც ყველაზე მთავარია, ლიდერი რომ არ შეიცვალოს. ვერავინ ძლევს საერთო ჩათვლის კენწეროში თუნდაც ორი დღე.

200-კილომეტრიან მეცხრე ეტაპზე 53 კილომეტრის გავლის შემდეგ რამდენიმე მრბოლმა მოინდომა რთული რელიეფით სარგებლობა და პელოტონს მოწყვეტა. რამდენიმე კილომეტრის შემდეგ მათ კიდევ რამდენიმე გაქცეული შეუერთდა და მოზრდილი გუნდი შეიკრა, სულ 12 კაცი. ეს დაახლოებით ორჯერ დიდი მოიერიშე გუნდი იყო, ვიდრე წინა ორ ეტაპებზე. საბოლოო გამარჯვების მოსურნეებს კვლავ ჩაეძინათ, როგორც ჩანს, ერთმანეთის ზვერვით გაერთნენ და ყურადღება არ მიაქციეს უპრეტენზიო მრბოლთაგან შეკრული ჯგუფის გამოხდომას.

მაგრამ გაქცეულები სუსტები სულაც არ აღმოჩნდნენ. ისინი მორიგეობით ენაცვლებოდნენ იერიშის ავანგარდში და ბოლომდე შეინარჩუნეს ლიდერობა, მეტიც 6 წუთიც კი მოუგეს პელოტონს, ეს კი საკმარისზე მეტი აღმოჩნდა საერთო ჩათვლაში ახალი ლიდერის გამოსანათებლად.

ვინმე ესპანელი მრბოლი, უფრო ზუსტად კი ბასკი ეგოი მარტინესი ოქროსფერი მაისურის მფლობელ ლეიფჰეიმერსთან ხუთ წუთზე მეტს აგებდა და საერთო ჩათვლაში სადღაც სიღრმეში ჩაკარგულიყო, ამ ექვსწუთიანმა ნახტომმა კი მას ლიდერის მაისურა აჩუქა. ლეიფეიმერი, კონტადორი, ვალვერდე, სასტრე... ყველა მთის არწივი უკან დარჩა. ოღონდ ბასკს ისიც ნუ დაავიწყდება, რომ მისი უპირატესობა ძალზე მყიფეა, ის მხოლოდ 11 წამს უგებს ლეიფეიმერს და სავარაუდოდ იქნებ შემდეგივე ეტაპზე გახადონ ოქროსფერი.

რაც შეეხება ეტაპის გამარჯვებულს, წინ გაქცეულ 12 კაცში ფინიშზე ყველაზე მეტი ენერგია ახალგაზრდა ბელგიელ მრბოლ გრეგ ვან ავერმატს შერჩენოდა და გამარჯვებაც მას შეხვდა.

„ჩემისთანა ახალგაზრდა მრბოლისთვის კარიერას ასეთ ადრეულ ეტაპზე ვუელტაზე ასეთი გამარჯვება უდიდესი საჩუქარი და სტიმულია — ამბობდა შამპანურნასმი და ლოყებზე კუდრაჭა გოგონების კოცნაალბეჭდილი ბელგიელი ჯეელი — რომ გამოვიქეცით, მალევე დავრწმუნდი, რომ ჩვენი გუნდი ბოლომდე გაუძლებდა პელოტონის დევნას. ამ გუნდში ხომ ისეთი ძლიერი ბიჭები შედიოდნენ, როგორებიც არიან კუნეგო, რებელინი, ნოჩენტინი... ისინი საერთო ჩათვლაში ქვემოთ არიან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ მასირებული შეტევა არ შეუძლიათ. მაგრამ ასეთ ჯგუფში გამარჯვება მე რომ დამრჩებოდა, ამდენს კი ველარ ვფიქრობდი.“

**ირაკლი ფირაშვილი**

### მე-9 ეტაპი. ვიელა — საბინანიგო. 200 კმ

| | |
|---|---|
| 1. გრეგ ვან ავერმატი (ბელგია, „ლოტო“) | 4 სთ 47 წთ 22 წმ |
| 2. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტეინერი“) | |
| 3. ხუან ანტონიო ფლეჩა (ესპანეთი, „რაბობანკი“) | |
| 4. რინალდო ნოჩენტინი (იტალია, AG2R) | |
| 5. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) | ყველას იგივე დრო |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“) | 33 სთ 23 წთ 56 წმ |
| 2. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, ასტანა) | +11 წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +32 წმ |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“) | +1 წთ 00 წმ |
| 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1 წთ 38 წმ |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29.
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge